ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 13 (40) 2 ივლისი, სამშაბათი 1991

## კითხვები და პასუხები

### (მიწის პრივატიზაციის გამო)

მიწის პრივატიზაციის პლუსები ცნობილია: ესაა პროდუქტების სიუხვე, გლეხკაცის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, შრომის დაფასება სოფლის მეურნეობაში და ადამიანის პოლიტიკური თავისუფლებისათვის, ანუ დემოკრატიისათვის ობიექტური ეკონომიკური პირობების შექმნა. ამჯერად პრივატიზაციის მინუსებზე ვიმსჯელოთ (რომლებიც პლუსებს, რაღა თქმა უნდა, მეათედადაც ვერ გადასწონიან) და ამ მინუსთა დაძლევის ოპტიმალურ გზებზე ვიფიქროთ.

1. წარმოვიდგინოთ, რომ დღეს რომელიმე სოფლის კუთვნილი მთელი სავარგული რიგდება. ბუნებრივია, შეუძლებელია იგი ისე დარიგდეს, რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, ანუ ყველამ ჩათვალოს, რომ განაწილება სამართლიანად მოხდა. სხვა თუ არაფერი, ეს იმიტომაცაა შეუძლებელი, რომ მიწის ყველა ნაკვეთი თანაბარი არ არის თავისი ღირსებით (ბონიტეტით) და ერთი ნაკვეთის მეორესთან შეთანადება მუდამ პრობლემებს წარმოშობს. ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნის პირველი თხუთმეტი წლის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი მკვლელობების ნახევარზე მეტი ან მიწის დავისგან, ან წყლის დავისგან წარმოდგებოდა (იხ. მაგალითად სუმბათაშვილი, 1919 წ.). ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალს იმავე საშიშროებაზე დღესაც, ამიტომ ამ წინააღმდეგობას სიმწვავე უნდა მოვაკლოთ. ამისთვის კი საჭიროა ,რომ მთელი მიწა ერთბაშად არ დავარიგოთ. კაცს, რომელიც ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩა განაწილებისა (ასეთი კი, ალბათ, სოფლის მოსახლეობის ცხრა მეათედი იქნება), არ უნდა ჰქონდეს იმის მწარე განცდა, რომ ის განაწილება, რაც დღესაა, ერთხელ და სამუდამოდ ხდება, რომ ეს უკანასკნელი განაწილებაა და რომ გასანაწილებელი აღარაფერი რჩება. ამიტომ აუცილებელია, ამ ეტაპზე დარიგდეს არა მთელი მიწა, არამედ მიწის მხოლოდ ნაწილი, რათა სოფლელმა კაცმა იცოდეს, რომ დღეს თუ რამე დააკლეს, იმ დანაკლისს მიწის მომავალ განაწილებაზე სამართლიანად აუნაზღაურებენ. მიწის ამ არასრულ, ნაწილობრივ დარიგებას, შეიძლება მივაღწიოთ, მაგალითად, საკარმიდამოთა გადიდებით და იმათთვის, ვისაც დღეს ნაკვეთი არ გააჩნია, საკარმიდამოებისა და სამოსახლოების დარიგებით. მიწის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ამ ეტაპზე არ დარიგდება, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო თავისუფალია მისი ათვისების ეკონომიკურად ოპტიმალური გზების ძიებაში.

2. აღწერილ იდეალურ ვითარებას, რაღა თქმა უნდა, ართულებს ის გარემოება, რომ სოფელს თავისებური ისტორიული მეხსიერება აქვს. ზოგან ნაკლებად, მაგრამ, არსებითად, ამა თუ იმ ხარისხით ყველგან ახსოვთ, ვის რა მიწა ეკუთვნოდა 1929 წლამდე, როცა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მოხდა. ზოგან (მაგალითად, მთის აჭარაში) ამ ძველ მფლობელობას წმინდად იცავენ, ასე რომ ოჯახი ძალიან უკმაყოფილოა, როცა მის ნაქონ მიწაზე სხვა სახლდება მისი თანხმობის უკითხავად. სხვაგან ეს ისტორიული მეხსიერება ნაკლებად ჩანს დღეს, მაგრამ უეჭველია, იგი გაცხოველდება, როცა მიწების შედარებით დიდი ნაკვეთის დარიგებაზე (ისიც — სამარადისო დარიგებაზე) მიდგება საქმე. ეს უკმაყოფილება უმწვავესი კონფლიქტების უშრეტი წყარო გახდება. როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას? საბჭოთა ხელისუფლების [illegible] რომელიც გლეხების [illegible] ჩამორთმევაში, ანუ მათს „ნებაყოფლობითს" კოლექტივიზაციაში გამოიხატებოდა, დღეს ალბათ შექცევადად ვერ ვაქცევთ, ანუ ვერ გავაუქმებთ, და 1929 წლამდე არსებულ მდგომარეობას ვერ აღვადგენთ (ეს, უბრალოდ, ტექნიკურად შეუძლებელია). მაგრამ პრინციპულად არც ის შეგვიძლია — არც მორალური და არც იურიდიული თვალსაზრისით — რომ ეს ფაქტორი სრულებით უგულვებელვყოთ. ერთის მხრივ, ცხადია, ჩვენ ვერ დავაკანონებთ იმას, რომ ყველა მოსახლეს მისი პაპის კუთვნილი დაუბრუნდეს, მაგრამ მეორეს მხრივ საკითხის ამ ასპექტს მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს. დაკანონება შეიძლება რაღაც უპირატესობისა, მაგალითად, პაპის ნაქონ ნაკვეთში შეიძლება პირველ რიგში მიეცეს მის ნაშიერს, მერე — სხვას. ამისათვის კი ალბათ აუცილებელია ამ პროცესში სოფლის საზოგადოებრივი აზრის ჩართვა რაღაც ოფიციალური ან არაოფიციალური სახით.

3. კიდევ სხვა სიძნელეც არსებობს. ის ექსპროპრიაცია. რაც კოლექტივიზაციის სახით მოხდა საქართველოს სოფელში, ერთადერთი როდი იყო. მას უსწრებდა თავადაზნაურობის ნაწილობრივი ექსპროპრიაცია რევოლუციის შემდეგ და სრული ექსპროპრიაცია გასაბჭოებისას, აგრეთვე ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის (აგრეთვე, გლეხობის ერთი ნაწილის ზოგ რეგიონში) ექსპროპრიაცია რუსული მონარქიის მიერ; ცხადია, რომ ძველი საკუთრების პრინციპული აღუდგენლობა ,ანუ საკუთრების განსაზღვრის საკითხში კლასობრივი ნიშნით ხელმძღვანელობა მაინცდამაინც ვერ თავსდება იმ დემოკრატიის ჩარჩოებში, რასაც ჩვენგან ცივილიზებული მსოფლიო დღეს მოითხოვს ან მოელის. დღეს საქართველოში მემამულეობის აღდგენა რაღა თქმა უნდა, აბსურდია., მაგრამ აბსურდია, აგრეთვე, კაცისათვის საერთოდ ნაკვეთზე უარის თქმა მისი წინაპრების კუთვნილში მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თავადური ან აზნაურული გვარისაა. თავადაზნაურული პრივილეგიების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს ამ კლასის ყოფილ წარმომადგენელთა დისკრიმინაციას საკუთრების მხრივ. გასაგებია და ბუნებრივია, რომ ეს მსჯელობა უცნაურად მოეჩვენება იმას, ვინც აქამდე მხოლოდ სოციალისტური წესით აზროვნებასაა ჩვეული, მაგრამ მარტივი სოციალისტური წყობიდან შეუდარებლად უფრო რთულ, ცივილიზებულ საზოგადოებრივ წყობაზე გადასვლა მრავალჯერ მოგვთხოვს აზროვნების ზოგიერთ განმტკიცებულ ჩვევაზე ხელის აღებას. ამ კერძო შემთხვევაში პრობლემა არაა დაკავშირებული რაიმე დიდ ხარჯთან, სახელმწიფოს მხრივ მიწის დიდი რაოდენობით გაცემასთან. მაგრამ ზემოხსენებული უფლებრივი მხარე პრინციპულად გასათვალისწინებელია, რამდენადაც ჩვენ საქმე ჩვენთვის ახალ ნორმებთან — დემოკრატიული მსოფლიოს დემოკრატიულ ნორმებთან გვაქვს.

4. საქართველოში სოციალიზმის ერთ-ერთი გამოუთქმელი, მაგრამ ფუძემდებელი პრინციპი იყო საქართველოს სოფლის გაჩანაგება, ანუ ქართველი გლეხის გატეხვა, „ოდეს წახდა გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდაო" — არჩილ მეფის ეს მწარე სიტყვები, მეთვრამეტე საუკუნეში ნათქვამი, იმპერიის პოლიტიკის გამტარებლებს გონებით თუ არა, ორგანიზმით ჰქონდათ შესისხლხორცებული, და ამიტომ მათ ყველაფერი იღონეს ქართველი გლეხობის ძირის გამოსათხრელად. სოფელი რომ დაიცალა, ყველამ ვიცით. დღეს სოფლის გაძლიერების ამოცანის წინაშე ვდგავართ, ჩვენ არც მორალური და, ფიგურალურად რომ ვთქვათ, არც ეკონომიკური უფლება გვაქვს იმისა, რომ სოფელში მიწაზე უარი ვუთხრათ იმას, ვინც სოფლიდან განთესილა, მაგრამ თავის მამა-პაპათა სამკვიდროსთან კავშირის გაწყვეტა არ სურს. ასეთი ადამიანების რაოდენობა საქართველოში აურაცხელია. ვერც სამართლის, ვერც დემოკრატიის ფარგლებში ვერ მოთავსდება ის, რომ ერთ ბიძაშვილს უარი ვუთხრათ პაპის სამკვიდროში დასახლებაზე, ან მიწის დასამუშავებლად აღებაზე, მეორეს კი არ ვუთხრათ მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ქალაქშია „ჩაწერილი", მეორე კი ისევ სოფელში; ნაკვეთი ორივეს უნდა მივცეთ.

5. პრინციპი „მიწა იმისია, ვინც მას ამუშავებს" არც ადრე იყო ბოლომდე ჭეშმარიტი და არც ახლაა, თუ ზედ ერთი ძალიან კონკრეტული და ძალიან სერიოზული კომენტარი არ დავურთეთ. ფეოდალურ ეპოქაში სავარგულების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნოდა არა მიწის დამმუშავებელს, არამედ მიწის დამცველ კლასს (თავადაზნაურობას), რომელიც, რაღა თქმა უნდა, ისტორიას არც გაუგებრობის შედეგად და არც ხუმრობის მიზნით არ შეუქმნია: მიწას მხოლოდ დამუშავება კი არ სჭირდებოდა, არამედ დაცვაც, რათა იგი სხვის ხელში არ გადასულიყო. დღეს, მექანიზაციის პირობებში, ბევრად უფრო მეტია მსოფლიოში მიწის დამუშავების უნარით აღჭურვილი ადამიანი, ვიდრე დასამუშავებელი მიწა, ასე რომ, მიწას **დაცვა** სჭირდება დღესაც, მაშასადამე, მიწის მიმართ უფლებამოსილება **მხოლოდ** მისი დამუშავების უნარზე დამოკიდებული ვერ იქნება. იგი დამოკიდებულია, სხვათა შორის, მის დაცვისუნარიანობაზე და, საერთოდ, მისი პატრონობისუნარიანობაზე **სხვა** პარამეტრებშიც, და არა მხოლოდ იმ ერთადერთ პარამეტრში, რომელსაც მისი დამუშავება ჰქვია. ამ ფუნქციებს ახორციელებს პირველ ყოვლისა საზოგადოება, როგორც მთლიანი, სახელმწიფოს სახით. დასავლეთის თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც მიწას მოსახლეობის სულ რამდენიმე პროცენტი ფლობს და ამუშავებს, მათი უფლებამოსილება მიწის მიმართ უსაზღვრო არაა. მესაკუთრეს შეუძლია მიწის გაყიდვა, მაგრამ არ შეუძლია მისი მოსპობა ან მთვარეზე გადატანა. ამგვარად, პრინციპი „მიწა იმისია, ვინც მას დღეს ამოუშავებს" იმდენადვე ცალმხრივა, რამდენადაც პრინციპი „მწვადი იმისია, ვისაც კარგი მადა აქვს". პრაქტიკულად ეს შემდეგს ნიშნავს: დღეს საქართველოში მიწის მიღების სურვილის გამოცხადების მორალური უფლება აქვს არა მხოლოდ იმას, ვინც სოფელში ცხოვრობს და დღესდღეობით სოფლის მეურნეობას მისდევს, არამედ იმასაც, ვინც ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმის მემკვიდრედ რჩება, ვინც ეს მიწა საუკუნეებში გამოატარა, როგორც ჩვენი ქვეყნის ქონება. როდესაც კითხვას ვსვამთ: „რამდენ ოჯახზე უნდა მოხდეს დღეს საქართველოში არსებული მიწის ფონდის განაწილება?", ჩვენ არ გვაქვს უფლება, სადვალავში **მხოლოდ** დღეს სოფელში მაცხოვრებელი პიროვნებები ჩავაგდოთ. მიწა **ყველას** გვეკუთვნის (და ალბათ ცოტა თბილისელი ან რუსთაველი თუ იტყვის უარს ქალაქის ახლოს დამხმარე მეურნეობისათვის ადგილის მიღებაზე), მიწის მიღების უფლების მიცემა **მხოლოდ** სოფლის მაცხოვრებლისათვის ამ შემთხვევაში უდრის საქართველოს მოსახლეობაში ძალიან დიდად პრივილეგირებული ფენის — მიწის მესაკუთრეთა **გამორჩეული** ფენის ხელოვნურად და უსამართლოდ შექმნას.

თუ საქართველოში არსებულ სავარგულებს გადავიანგარიშებთ [illegible] ქართველოს დღევანდელ მოსახლეობაზე, გამოვა, რომ თითოეულს ათას კვ. მეტრამდე კუთვნებია. ერთისათვის ორი ათასის მიცემით ჩვენ მეორეს ვართმევთ ათასს. თუ მოვინდომეთ საქართველოს მთელი სავარგულის განკერძოება, მაშინ თითო ოჯახზე საშუალოდ — ნახევარი ჰექტარი მოვა. სოფლელი ოჯახი, რომელიც მეტს იღებს, ამით ქალაქელ ოჯახს ცარიელზე ტოვებს. დემოკრატია — თუკი მიწის დაუყოვნებლივ დანაწილების პრინციპს დავადექით — ამ მხრივ სწორედ თანასწორობას, სოფლელისა და ქალაქელის გათანაბრებას მოითხოვს. თუ სოციალისტური აზროვნების ჩვევის ტყვეობაში არ ვიმყოფებით, ადვილად შეგვიძლია შემდეგი მარტივი ჭეშმარიტების ჩაწვდომა: ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება, ჰყავდეს ავტომანქანა (რომელიც ფუფუნების საგანი არაა), ან ჰქონდეს ოქროს პორტსიგარი (რომელიც ფუფუნების საგანია), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია მანქანები და ოქროს პორტსიგარები გვაჩუქოს. ასევე, მიწის მიცემაც მოქალაქისათვის სახელმწიფოს უფლებაა და არა მოვალეობა. ჩვენ უნდა დავაკანონოთ კერძო მიწათსარგებლობის უფლება მემკვიდრეობის უფლებითურთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო **მოვალეა** კაცს მიწა მისცეს, რათა ამ უფლების რეალიზაცია მოახდინოს; დიახ, სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ მიწას კერძო პატრონი ჰყავდეს. მაგრამ ვინმესთვის მიწის მიცემის მოვალეობა სახელმწიფოს არა აქვს. სახელმწიფოს მოვალეობა აქვს მხოლოდ საზოგადოების, როგორც ასეთის, ერის, როგორც ასეთის წინაშე! ამიტომ **მიწაც სახელმწიფომ ისე უნდა განკარგოს, დაარიგოს ან არ დაარიგოს, როგორც ეს ქვეყნისთვის და საქმისთვის სჯობია!**

არც ერთი სახელმწიფო არ აძლევს კაცს მიწას მხოლოდ იმის გამო, რომ მას მიწა სჭირდება, ან არ აძლევს მეტ მიწას იმის გამო, რომ მეტი შვილები ჰყავს. პრინციპი „თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით" ამ სფეროში არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს და ვერც იმოქმედებს (თუმცა ამავე პრინციპს წარმატებით შეუძლია მოქმედება, მაგალითად, წამლების განაწილების სფეროში), არაფერმა არ უნდა შეაცდინოს საქართველოს ადმინისტრაცია და არ უნდა გაათვალისწინებინოს მიწის პოლიტიკაში არავითარი სხვა მოტივი გარდა ქვეყნის, როგორც ასეთის საერთო ძირეული ინტერესისა!

ქვეყნისათვის დიაღაც ის ჯობია, რომ მიწები დარიგდეს (ყოველ შემთხვევაში, დარიგდეს მიწების დიდი ნაწილი მაინც). ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ ჩვენს მიწას მართლაც იმაზე უფრო დიდი და საპატიო დანიშნულება არა აქვს რა, ვიდრე მისი შთამომავლის გამოკვებაა, რაც ამავე დროს სახელმწიფოს გამოკვებას ნიშნავს. მაგრამ მიწის ეს დარიგება ისე უნდა მოხდეს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ სწორედ კაცის ინტერესებიდან და საქართველოს კონკრეტული ინტერესებიდან გამოვიდეთ და არა იდეოლოგიური ან თეორიული პრინციპებიდან. მიწის დარიგება უნდა მოხდეს მკაცრი ინდივიდუალური მიდგომით, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორების, აგრეთვე მრავალი სხვა ფაქტორის სრული გათვალისწინებით. ე. წ. „ბულდოზერის მეთოდი" აქ ვერ გამოგვადგება. კანონი, კაცს მიწის ფლობის უფლება აქვსო, ამისთვის მხოლოდ იურიდიულ ფორმას ქმნის, და არა თვით რეფორმის შინაარსს. რეფორმის კონკრეტულ გატარებას, ანუ მიწების დარიგებას არ სჭირდება კანონის ცდა. იგი ახლავე უნდა დავიწყოთ(და სჯობდა ნოემბერშივე დაგვეწყო), შედარებით მარტივი რეგიონებიდან. მას ჩქარა ვერ დავამთავრებთ, (რა თქმა უნდა), მაგრამ მისი დაწყება ახლავე გვმართებს.

> **დღეს ნომერში:**
>
> ● ინტერვიუ პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატთან — თამაზ კვაჭანტირაძე გვ-2. გვ.
>
> ● საით მიდის საქართველო? გვ-4 გვ.
>
> ● სიტყვა ოპოზიციას. გვ-5 გვ.
>
> ● წითელი პროფესორის შავბნელი ფიქრები გვ-6, გვ-7 გვ.
>
> ● ვიშ, ამ სამართალს! — ნოდარ წულაძე გვ-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატთან

# მთავარია, ზნეობრივად არ დამარცხდე

## თამაზ კვაჭანტირაძე



**— ბატონო თამაზ, მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულ კანდიდატებს ვაძლევთ საშუალებას გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი ამ არჩევნებზე... დავიწყოთ ტრადიციულად, ჩვენებურად — როგორ ბრძანდებით?**

— მეც ტრადიციულად გიპასუხებთ: არა გვიშავს, ვცოცხლობთ, მაგრამ თქვენცა და მკითხველსაც, ალბათ, ამ კითხვის ქვეტექსტზე პასუხი უფრო გაინტერესებთ, თუ როგორ ვგრძნობ თავს დამარცხებულის როლში. ამაზეც მოგახსენებთ: მოგება და წაგება, გამარჯვება და დამარცხება ძმები არიანო, ამგვარი მოარული თქმით ვერც თქვენ დაგაკმაყოფილებთ და თავსაც ვერ მოვიტყუებ; პოლიტიკაში ხომ ყველაფერს სწორედ მოგება-წაგება წყვეტს. თუმცა პოლიტიკაშივე ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იმასაც, ვინ როგორ გამოიყენებს გამარჯვებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, დამარცხებასაც... და ერთიც: პოლიტიკურად დავმარცხდი, მაგრამ ზნეობრივად თავი არამც და არამც არ მიმაჩნია დამარცხებულად. პოლიტიკური გამარჯვებაც ყოველთვის როდი ნიშნავს ზნეობრივს. თუმცა ამით არც იმას ვამტკიცებ, ვინც პოლიტიკურად გაიმარჯვა, იგი ზნეობრივად დამარცხდა-მეთქი; ასეც მომხდარა, რომ რეალურად გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც სწორედ ზნეობრივი თვალსაზრისით. პირნათელნი ანუ გამარჯვებულნი წარმდგარან უზენაესის წინაშე... სხვათა შორის, შეიძლება პირუკუც მოხდეს — გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც პირშერცხვენილები წარუდგნენ უფალს.

მოკლედ, კიდევ ერთი ასეთი დამარცხებაც და, შესაძლოა, გავიმარჯვოთ კიდეც... ვხუმრობ, ცხადია...

**— ...და მაინც, რა მიგაჩნიათ ამ არჩევნებში თქვენს ზნეობრივ გამარჯვებად?**

— მე არ მითქვამს, ზნეობრივად გავიმარჯვე-მეთქი. მე მოგახსენეთ, რომ ზნეობრივად არ დავმარცხებულვარ. ჩემი მიზანიცა და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებანიც ამ არჩევნებში ზნეობრივი გახლდათ...

**— დავიწყოთ მიზნით — პრეზიდენტობით... შეგვინდეთ პირდაპირობა, მაგრამ რისი იმედით, რატომ ჩაებით საპრეზიდენტო ბრძოლაში?**

— ცხადია, არა იმიტომ, რომ პრეზიდენტად გახდომის იმედი მქონდა. მაგრამ არის სიტუაციები, როცა უნდა იბრძოლო, თუნდაც ეს ბრძოლა იმთავითვე წაგებული იყოს. არც იმისთვის მიბრძოლია, რომ სხვისთვის — კონკრეტული პიროვნებისთვის — მევნო: მე პრეზიდენტობისთვის კი არ ვიბრძოდი, პრეზიდენტობას ვებრძოდი. ზოგჯერ ასეთ, მეტი რომ არა ვთქვათ, აზირებულ კითხვასაც მისვამენ: რატომ წამოაყენეთ თქვენი კანდიდატურა პრეზიდენტობის კანდიდატად, დავუშვათ და, აგვერჩიეთ, მერე რაღას აპირებდითო? ჯერ ერთი, პრეზიდენტის კანდიდატად არავინ აყენებს თავის კანდიდატურას, კანდიდატად სხვა გადგენს. პოლიტიკური პარტია ან კერძო პირთა კრებული, თანაც რეგისტრირებას ორსავე შემთხვევაში სჭირდება მხარდამჭერთა ათიათასიანი ხელმოწერით დადასტურებული სია. პრეზიდენტობის კანდიდატად მე, მაგალითად, თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა წარმადგინა, თუმცა ამ კავშირის წევრი (და არც სხვა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა) არ გახლავართ.

რაც შეეხება არჩევას — ჩემი აზრით, პოლიტიკოსმა, ექიმისა არ იყოს, პირველ ყოვლისა, ჰიპოკრატეს ცნობილი შეგონებით უნდა იხელმძღვანელოს — არავნო! მართლაცდა, რომ მომხდარიყო სასწაული და აგვერჩიეთ — ამის იმედი მქონდა, ამას ვაპირებდი... და, თუ ეს მინიმალური მოთხოვნაა ექიმისათვის, პოლიტიკოსისათვის ამ პირობის შესრულება მეტს ნიშნავს: არ ავნო ქვეყანას, ეს დღევანდელ სიტუაციაში უკვე დიდი საქმე მგონია.

ცხადია, საკუთარი კანდიდატურის მოხსნა თავიდანვე შემეძლო; და მერეც — წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც...

**— მართლაც, ბევრს შეექმნა თქვენი პირველი სატელევიზიო გამოსვლიდან ის შთაბეჭდილება, რომ თქვენ ფინიშზე მოხსნიდით თქვენს კანდიდატურას.**

— თუ არჩევნები შინააშლილობის კერად იქცეოდა, რითაც ისარგებლებდა გარეშე ძალა დესტაბილიზაციის შესაქმნელად, მე ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად მივიჩნევდი არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას. საბედნიეროდ, აქამდე საქმე არ მისულა, თუმცა მთელი საარჩევნო კამპანია უაღრესად მძიმე ზნეობრივ ატმოსფეროში წარიმართა.

**— ზემოთ ბრძანეთ, პრეზიდენტობისათვის ბრძოლით პრეზიდენტობას ვებრძოდიო... რამდენად რეალური იყო ეს?**

— ალბათ, ნაკლებად რეალური... უფრო ნორმალურ ვითარებაშიც კი ჩემი საპრეზიდენტო მიზანდასახულება ანუ სტრატეგია წამგებიანი გახლდათ: თავიდანვე განვაცხადე, ახლადარჩეულ პრეზიდენტს უნდა ეყოს შინაგანი ძალა საიმისოდ, რომ პრეზიდენტობის ამ ახალი კანონით მინიჭებულ ფაქტობრივად შეუზღუდავ უფლებებზე უარი თვითონ თქვას-მეთქი. ამ აზრით მოგახსენეთ წელან, მე პრეზიდენტობისათვის არ ვიბრძოდი, მე პრეზიდენტობას ვებრძოდი-მეთქი. უფრო სწორად, ვიბრძოდი პრეზიდენტობისათვის, რათა არჩევის შემთხვევაში შევბრძოლებოდი პრეზიდენტობის იმგვარ ინსტიტუტს, როგორიც ჩვენში შეიქმნა. ეს კი, ვაღიარებ, ამომრჩევლისათვის ძნელად აღსაქმელი და კიდევ უფრო ძნელად გასაზიარებელი პოზიციაა: თავად განსაჯეთ, რატომ უნდა მისცეს პრეზიდენტობაზე ხმა იმას, ვინც პრეზიდენტობის გაუქმებას აპირებს? ასე რომ, მე არც იმ რვაათას ხუთას ხმას ველოდი, ოფიციალური ცნობის მიხედვით ჩემთვის რომ მოუციათ...

**— მართლაცდა, ასეთ შემთხვევაში განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა, არჩევნებისათვის ბოიკოტი გამოგეცხადებინათ?**

— ცხადია, მე რომ რომელიმე პარტიის თავკაცი ან თუნდაც წევრი ვყოფილიყავი, ვეცდებოდი, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას პრეზიდენტობის **ამნაირი**, ხაზს ვუსვამ, **ამნაირი** ინსტიტუტის შემოღების წინაალმდეგ ებრძოლა კონსტიტუციურად ნებადართული ყველა საშუალებით, მათ შორის, თუნდაც, არჩევნებისადმი ბოიკოტითაც. სხვათა შორის, სწორედ ასე მოიქცა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. ინდივიდუალური უარის თქმა არჩევნებში მონაწილეობაზე კი, ჩემი აზრით, ნაკლებად პერსპექტიული ჩანდა, არჩევნები მაინც ჩატარდებოდა; ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა მეტი რეზონანსი ჰქონოდა თვითონ პრეზიდენტობის კანდიდატის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას პრეზიდენტობის (უფრო სწორად, შეუზღუდავი ერთმმართველობის, მეტიც ითქმის — ლამის თვითმპყრობელობის) ამგვარი ინსტიტუტის შემოღებაზე. საარჩევნო კამპანიის დროს გაირკვა, რომ მსგავსი დამოკიდებულება პრეზიდენტობისადმი ზოგ სხვა კანდიდატსაც ჰქონია.

**— პრეზიდენტობისადმი თუ პრეზიდენტისადმი?**

— ცხადია, პრეზიდენტის პიროვნულ თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული თვით ამ პრეზიდენტობის ინსტიტუტის ამოქმედების ეფექტი. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, სტალინს კონსტიტუციურად ნაკლები უფლება ჰქონდა, მაგრამ რეალურად — აბსოლუტურად შეუზღუდავი. და მაინც, თვისებრივად განსხვავებული ვითარებაა, როცა კონსტიტუციურად კანონდება მმართველობის დიქტატორული — დიახ, მე არ შემეშინდება ხმარება ამ სიტყვისა, სწორედაც დიქტატორული — ფორმა. კაცს, ცხადია, შეუძლია „გააფუჭოს“ ნებისმიერი სახელისუფლო ადგილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი შეუზღუდავი სახელისუფლო ადგილი „გააფუჭებს“ ნებისმიერ კაცს. ისედაც ლამის დაუძლეველია ძალაუფლების საცდური (გავიხსენოთ პოლ ვალერის ცნობილი მაქსიმა: „ძალაუფლება ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობის კარგავს“) და თუ ამ საცდურს კონსტიტუციური საფუძველიც შევუქმენით, „ვაი ჩვენდა...“

**— და თქვენ გამორიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ ამ, თქვენი თქმით, „გამაფუჭებელ“ სახელისუფლო ადგილზე მოვიდა ან მოვიდეს კაცი, რომელიც თავის შეუზღუდავ ძალაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ერის სასიკეთოდ გამოიყენებს?**

— არ გამოვრიცხავ. გამონაკლისები იცის ისტორიამ. ტაციტუსი, დიდი რომაელი ისტორიკოსი, წერს, რომ ვესპასიანე იყო ერთადერთი იმპერატორი რომში, რომელიც ძალაუფლებამ გააუკეთესა. ვიმეორებ — ერთადერთი; სხვანი ყველანი იმპერატორობამ წაახდინა. დავრჩეთ ქართველები ამგვარი გამონაკლისის იმედად? და ერთსაც დავძენდი: მე იმდენად თვით დიქტატორობა ან ტირანიაც კი არ მაშინებს, რამდენადაც მათი შენიღბვის მცდელობა დემოკრატიული „ფერ-უმარილით“, ანუ დიქტატურის დემოკრატიად გასაღება. დიქტატურაც, ოხლოკრატიაც ანუ ბრბოს მმართველობა და ტირანიაც პირადად ჩემთვის (და ალბათ — სხვებისათვისაც) პიროვნულად არის მიუღებელი, თორემ ისინი ობიექტურად არსებული ფორმები გახლავთ მმართველობისა... მოგვწონს, არ მოგვწონს — ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ ესა თუ ის ხალხი და ქვეყანა ზოგჯერ მმართველობის ამგვარი ფორმებითაც იმართებოდა და ზოგან ახლაც იმართვის, ასე რომ, ვინც ამტკიცებს, მმართველობის დემოკრატიული ფორმით საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვერ აღვიდგენთ და მხოლოდ „ძლიერი ხელით“ (ტერმინს „დიქტატურით“ მაინც ერიდებიან!) მიიღწევა სანუკველი მიზანიო, ისინი, შეიძლება, ცდებოდნენ, მაგრამ უფრო გულწრფელნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც დღევანდელ საქართველოს ლამის დემოკრატიულობის ეტალონად სახავენ.

**— ყველაფერი შეფარდებითია; ისე, პროლეტარიატის დიქტატურასთან შედარებით კაცს ასეთი აზრიც შეიძლება გაუჩნდეს...**

— ბევრი კი თქვენგან განსხვავებით ფიქრობს, რომ ყველაფერი არ არის შეფარდებითი, მათ შორის — დემოკრატიაც; დემოკრატიაც, ორსულობისა არ იყოს, ან არის, ან არ არისო. ცხადია, არავითარი დემოკრატია, ყბადაღებული „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ მეთოდის მომარჯვების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში არ ყოფილა, მაგრამ ერთი კი იყო — დიქტატურას დიქტატურა ერქვა. თუმცა აქაც ფარისევლურად აფარეს „დიქტატურის“ სარცხვენელს „პროლეტარიატის“ ლეღვის ფოთოლი, აქაოდა მასის, მშრომელი და უპოვარი მასის, დიქტატურააო... არადა, არც მასის, არც კლასის, არც ამ კლასის პარტიის დიქტატურა არ ყოფილა — იყო ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვის და ა. შ. დიქტატურა გორბაჩოვის ჩათვლით, თუ, ცხადია, ამ უკანასკნელმა თვითონ არ აილო ხელი დიქტატორობაზე (ამგვარი უიშვიათესი გამონაკლისებიც იცის ისტორიამ). მეორეც არის და, რაღა ამ „წითელი დიქტატურის“ ხანას ვიღებთ შესადარებლად და ორიენტირად? ასე ხომ წინა ხელისუფლებამ იცოდა — ყველაზე გაუბედურებულ 1913 წელს აიღებდა ხოლმე შესადარებლად, როცა ჩვენი სამეურნეო წარმატებების წარმოჩენა უნდოდა. რა ვიცი, ვითომ დიდად თავმოსაწონებელია ჩვენთვის, თუ ხელისუფლებისათვის მიუღებელ კაცს ძველებურად კედელთან კი არ ვაყენებთ და ვხვრეტთ, არამედ საჯაროდ პრესითა და ტელევიზიით ცილისწამების ლაფში ამოვთხვრით, ხალხს წავუსისიანებთ, სამსახურიდან გავ[illegible] და ზოგჯერ „ვირის აბანოშიც“ ვუკრავთ თავს?

მოკლედ, საბჭოთა ხელისუფლების დროს რომ დემოკრატია არ გვქონდა და ამას ვითმენდით, ეს არც ლოგიკურ და არც ზნეობრივ არგუმენტად არ გამოგვადგება დღევანდელი დემოკრატიული შეზღუდვების გასამართლებლად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი არა, ხანდახან ისეთი მკრეხელური აზრიც კი გამიელვებს, რომ დემოკრატია არც არასოდეს გვქონია...

**— მოდა, რაც არასოდეს გვქონია, ის, იქნებ, არც შეეფერება ჩვენს ბუნებას, ხასიათს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესს ჩვენი თანაცხოვრებისას?**

— გთხოვთ, სიტყვაზე ნუ დამიჭერთ — მე მოგახსენეთ, ასეთი აზრიც გამკრავს-მეთქი... არანაკლები წარმატებით შეიძლება, ალბათ, საპირისპირო აზრის მტკიცებაც — ჩვენ გენეტიკურად ვართ მიდრეკილნი დემოკრატიისაკენ. ამ თვალსაზრისითაც არის შესასწავლო საქართველოში მარადიულად მოქმედი ცენტრიდანული ტენდენციები, ჩვეულებრივ, ქართველთა თავკერძა ბუნების გამოვლენად რომ მიიჩნევა. „ყველა აზნაურს მეფობა უნდაო“, ამ აზრში, იქნებ, იმის ამოკითხვაც შეიძლებოდეს, რომ ქართველი შინაგანად ვერ ეგუება სხვის, თუნდაც უზენაესი ხელისუფლის, პიროვნულ დიქტატს... გთხოვთ, თქვენცა და მკითხველმაც შემინდოთ, ასეთ ღრმა საკითხზე ამგვარი სასხვათაშორისო მსჯელობისათვის...

**— თქვენ პროფესიონალი ლიტერატორი და ენათმეცნიერი ბრძანდებით, საზოგადოება კარგად გიცნობთ თქვენი მრავალწლიანი ტელეკურსებითაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ ბოლო ხანებში კი ეკრანზე ვეღარ გხედავთ. მიზეზი?**

— დიახ, ჩემი ტელელექციები შეწყდა... არავითარი პრეტენზია არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს ტელე-რადიოს ახალი ხელმძღვანელობის მიმართ... ჯერ იყო და — ელექტროენერგია შემოგვაკლდა. მეორე და, ალბათ, უფრო მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ საერთოდ შეწყდა ტელევიზიით ყველა სახის სასწავლო ლექციების კითხვა. და თუ რაიმე სხვა, პიროვნულ ანგარიშსწორებაზე დავუძნებული, მიზეზიც არსებობს. ეს, ალბათ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გაირკვევა.

**— დაბეჯითებით ამბობენ, რომ თქვენ აგირჩევენ ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ.**

— საქმე როცა არჩევნებზე მიდგება, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მე არ ამირჩევენ...

**— ხუმრობით გინდათ კითხვაზე პასუხს თავი აარიდოთ, თუ...**

— კი, ბატონო, სერიოზულად მოგახსენებთ: კონგრესის უკანასკნელ სესიაზე დაისვა საკითხი კონგრესის თავმჯდომარის პოსტის შემოღებისა. იქვე მართლაც იქნა წამოყენებული ჩემი კანდიდატურა კონგრესის თავმჯდომარედ. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ჯერ კიდევ კონგრესის I სესიაზე მოვხსენი ჩემი კანდიდატურა კონგრესის პრეზიდიუმის წევრობაზე. ახლაც იგივე გავაკეთე, აცილება მივეცი ჩემს კანდიდატურას, ვინაიდან მიმაჩნდა და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ კონგრესს იმ ძალებმა უნდა უხელმძღვანელოს, ვინც ეროვნული კონგრესის იდეა დაამუშავა და მერე, ნაწილობრივ მაინც, პრაქტიკულად შეასხა ხორცი.

**— გამოითქვა მოსაზრება, იქნებ, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამომრჩევლები პრეზიდენტის მხარდამჭერად იმანაც განაწყო, რომ ხუთივე კანდიდატმა კრიტიკის ობიექტად მხოლოდ ზვიად გამსახურდია აირჩია. ქართველი კი, ხუთი ერთზე, როცა დაინახავს, ცხადია, იმ ერთის, დაჩაგრულის, მხარეს დადგება...**

— ეს ვერსია — „ხუთი ერთზე“ — დაჟინებით მუშავდება ოფიციოზის მიერ. არადა, არავითარი ხუთი ერთზე არ ყოფილა. ჯერ ერთი, ბატონი ჯემალ მიქელაძე არ გამოსულა პრეზიდენტის კრიტიკით, ხოლო მისი ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირის გამოსვლის შემდეგ ბევრი კითხულობდა, კომუნისტების ნდობით აღჭურვილ პირს მოვუსმინეთ თუ — მრგვალი მაგიდისასო... ხუთი ერთზეო — ბედის ირონია სწორედ ეგ გახლავთ, თორემ თანასწორობა საარჩევნო კამპანიაში, ცხადია, არ ყოფილა: იმ ერთს მიათვალეთ მთელი ქართული პრესა, ტელევიზია, რადიო, ხელისუფლების ყველა რგოლი, უზენაესი საბჭოთი და პრეფექტურით დაწყებული და „მეტელეფონე ქალებით“ დამთავრებული. მერწმუნეთ, ამას დამარცხებულის ბოღმა არ მალაპარაკებს, მალაპარაკებს გულდაწყვეტა, ის გრძნობა, რომელიც კარგად გამოიხატება ერთი ჩვენებური ანდაზით — ჩემი შენ გითხარიო და გული მოგიკალიო.

**— გულდასაწყვეტი, ალბათ, მართლაც გქონდათ, მაგრამ ზოგი უმართებულო ბრალდება ხომ ოფიციალურად იქნა უარყოფილი; პირადად თქვენ საქართველოს ტელევიზიამ, თუ არ ვცდები, ორჯერ მოგიხადათ ბოდიში ეკრანიდან...**

— კი, ბატონო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამით განა რა შეიცვალა პრინციპულად? ცილისმწამებლისათვის ხომ სიცრუის თესლის ხალხში გადაგდებაა მთავარი. მან იცის, ბრალდება კიდეც რომ გაუბათილო, ეს მაინც მის წისქვილზე ასხამს წყალს: ჯერ ერთი, თავისმმართლებლის ფსიქოლოგიურად წამგებიან პოზიციაში გაყენებს და, მეორეც, ბრალდების საჯარო გაბათილებაც კი მაინც ამ ჭორისა და სიცრუის შემდგომ გავრცელება-ესკალაციას უწყობს ხელს. რა ვქნათ ახლა ჩვენ, პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატებმა, ვამტკიცოთ, რომ ვიგინდარები და ერის მოღალატეები არა ვართ? ამტკიცოს საინგილოზე გადაგებულმა კაცმა, სწორედაც უანგარობის ეტალონმა, რომ ის ინგილოთა გაჭირვებაზე „ხელს არ ითბობდა?“ მართლაცდა, პოეტის თქმისა არ იყოს, „ბნელა, ღმერთი აღარ არის“? ან მე რა უნდა მექნა, მემტკიცებინა, რომ ქართული ენის მტერი არა ვარ? თექვსმეტი წელია თითქმის ყოველკვირა, რომ იტყვიან, ხელისგულზე ვუზივარ ტელევიზორიან საქართველოს, საკუთარი თვალით მხედავთ და საკუთარი ყურით მისმენთ, რასაც ქართულ სიტყვიერებაზე და ქართულ ენაზე ვქადაგებ და, ქართული ენის ერთგულებაც თუ ვინმესთვის დასამტკიცებელი გამიხდა, მართლაც არ ვყოფილვარ ტელეეკრანს სათოფეზე გასაკარებელი. თუმცა, რა მიკვირს: ეტყობა, ზოგჯერ — მთელი ერიო, ვერ ვიტყვი, მაგრამ — მისი ერთი ნაწილი იმდენად გულმავიწყი ხდება, რომ ეკრანზე საკუთარი თვალით ხილული და საკუთარი ყურით მოსმენილიც აღარ ახსოვს... უფრო სწორად, რაც არ უნდა, არ ახსოვს.

ერთსაც დავძენდი: არა მარტო ცილისწამებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება ყოვლად დაუშვებელია ლიქნისთვისაც... არადა, როგორი ქვეშევრდომული სული ტრიალებს ჩვენს ოფიციოზში! წინათ თუ პარტიასა და გენერალურ მდივანს უქებდნენ გუნდრუკს, ახლა პრეზიდენტსა და პარლამენტზე აღავლენს ძირითადად იგივე ხალხი ხოტბას არანაკლები ექსტაზით. არანაკლებითო? ცოცხალი კაცი, ხელისუფლების სათავეში მდგომი, მთელი ქვეყნისთვის რომ გაეიგივებინოთ, ასეთი რამ ყბადაღებული პიროვნების კულტის დროსაც არ უკისრიათ. მაიაკოვსკიმ კი ბრძანა, ლენინი და პარტია ერთნი არიანო, მაგრამ — პარტიაო და არა — რუსეთი, თანაც ეს არ თქმულა ლენინის სიცოცხლეში. „უძრაობის ხანაშიც“ — მზე ჩრდილოეთიდან კი ამოგვიყვანეს, მაგრამ ინდივიდუალური საცხოვრებლიდან („ქექ“-ის ბინიდან თუ კერძო კოშკიდან) არ ამოუყვანიათ.

ილია ბრძანებდა: „ბრმად თაყვანისცემა რისიმე თუ ვისიმე — კე-

(დასასრული მე-8 გვ.)

# ნაგვიანევი რეაქცია

## (ამირან გომართელის წერილის „ჩვენს ნერვის შეგვეხილება“ გამო)

**ნოდარ ნათაძე**

კანონთა მთელი კრებული, ძირითად კანონთა ანუ კონსტიტუციათა ჩათვლით, სხვა არა გახლავთ რა, თუ არ თხელი ქერქი, რომელიც რასობრივ, ეროვნულ, სოციალურ თუ პიროვნულ ურთიერთობათა, ინტერესთა და სწრაფვათა, მიზანსახვათა და ვნებათა იმ მდუღარე მაგმას აქვს გადაკრული, ადამიანთა ცხოვრება რომ ჰქვია. ნორმატულ კანონებს უკან, ანუ იმ კანონების უკან, რომლებითაც ცხოვრება გვმართებს ან გვევალება, ბუნებრივ კანონთა ვრცელი სამყარო დგას. ბუნებრივი კანონები ისაა, რომლითაც მართლა ვცხოვრობთ. ვაი, იმ საზოგადოებას, რომლის ნორმატული კანონები ადამიანთა თანაცხოვრების ბუნებრივ კანონებს ეწინააღმდეგება. მაგრამ, ვაი, იმ საზოგადოებას, რომელმაც მხოლოდ კანონები იცის და რომელსაც პიროვნებათა თუ ჯგუფთა თანაცხოვრების ცნობიერად მარეგულირებელი, ადამიანთა გამოთქმული ან გამოუთქმელი ურთიერთშეთანხმებით დადგენილი, ნორმატული კანონები არ გააჩნია ან სუსტი აქვს!

ადამიანის ბუნებრივ უფლებათა რიცხვში, რომელსაც კაცს ვერ შეულახავთ ისე, რომ იგი ადრე თუ გვიან არ აჯანყდეს და თავისი ამ ამბოხის განხორციელებისათვის სიცოცხლეც კი არ გაწიროს (საჭიროების შემთხვევაში), მისი ეროვნული უფლებაც შედის — იმის უფლება, რომ ყველა სხვა ერის პრინციპულად თანასწორი, სხვათაგან გამოყოფილი, საკუთარი სახისა და ვინაობის მქონე ერის შვილი იყოს. ერის ბუნებრივ უფლებებში შედის ის, რომ საკუთარი ტერიტორია ჰქონდეს: დედამიწაზე, რომელიც კაცობრიობის საერთო საცხოვრებელი ადგილია, თავისი სახლი გააჩნდეს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ წევრს. თავის ტერიტორიაზე ერი მასპინძელიცაა და ბატონ-პატრონიც, ამ მხრივ იგი ერთადერთია ამავე ტერიტორიაზე მოსახლე, ყველა სხვა ერის წარმომადგენელთა შორის. ყველა სხვა ტერიტორიაზე ამ ერის წარმომადგენლები მხოლოდ ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფი არიან. ამ ტერიტორიაზე ისინი არიან არა მხოლოდ ინდივიდთა ჯგუფი (რომელშიც, ბუნებრივია, ყოველ ადამიანს თავისი წმინდა ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებები აქვს), არამედ ამ მოცემული ტერიტორიის, როგორც მთელის, დარაჯი და პატრონი, რომელიც მოვალეა, ეს ტერიტორია შეინახოს და დაიცვას არა მხოლოდ როგორც ადამიანთა საკვები და მარჩენალი ბაზა, არამედ აგრეთვე ერის, როგორც ასეთის, მარადიული ეროვნული არსებობის ბაზა. ეროვნული უფლება, ანუ იმის უფლება, რომ ყველა სხვა ერის პრინციპულად თანასწორი, სხვათაგან გამოყოფილი, საკუთარი ვინაობისა და სახის მქონე შვილი იყოს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ადამიანის ადამიანურ უფლებათა ერთ-ერთი კომპონენტია. სწორედ ამ უფლების რეალიზაციის პირობაა ეროვნული ტერიტორიის — ერისთვის საკუთარი მიწა-წყლის არსებობა ჩვენს პლანეტაზე. ამიტომ ბუნებრივია და გასაგებია ის ფაქტი, რომ დედამიწა დანაწილებულია ერებს შორის ისევე, როგორც, ვთქვათ, საბინაო ფონდი ამა და ამ ქალაქში დანაწილებულია ოჯახებს შორის. ეს დანაწილება დაფიქსირებულია სახელმწიფო საზღვრების სახით და დაფორმულებულია ხელშეკრულებებში და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ სხვადასხვა სახის დოკუმენტებში.

სანამ ეს დოკუმენტები სეიფში გიდევთ, შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ ისევე, როგორც მშვიდად გძინავთ, როცა თქვენი სახლის ნასყიდობის ქაღალდი გაგაჩნიათ, და არ გეშინიათ, რომ სახლს წაგართმევენ. რაღა თქმა უნდა, დედამიწის ეს განაწილება ყოველთვის სამართლიანი არ არის: არსებობენ ერები, რომელთა სახელი დღეს დედამიწის ზედაპირის არც ერთ ნაწილს არ ჰქვია, მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც ამ ერის ისტორიული სამოსახლოა. არსებობენ იურიდიულად უქვეყნო ერები, (მაგ. ქურთები) და ეს უსამართლობა გასწორებას მოითხოვს. მაგრამ უსამართლობის ფაქტების არსებობა არ ნიშნავს სამართლიანობის შეუძლებლობას ან ტვით სამართლიანობის, როგორც პრინციპის, სიყალბეს. თუ ერთი ერი ან ერთა ერთი ნაწილი მოკლებულია მფლობელობას ტერიტორიის მიმართ, ეს არ ნიშნავს, რომ უფლება გვაქვს უარვყოთ ტერიტორიის მიმართ ერის მფლობელობა საერთოდ.

ისტორია ერთ ადგილზე არ დგას: ერთა შორის საზღვრები და მათი უფლებრივი ურთიერთობების შეცვლა დიახაც ხდება. ხდება ხან ომით, ხან დაშინებით და ხან დაინტერესებით. ასევე ხდება სახელმწიფოთა, მათ შორის იმპერიათა გაჩენაც, ნგრევაც და მსოფლიოს ახალ-ახალი გადანაწილება-გადმონაწილებაც. ეს გადანაწილება-გადმონაწილებაც ბუნებრივი პროცესია. როგორც ბუნებრივი პროცესი, იგი სამართლიანობასთან შესაძლოა თანხმობაშიც იყოს და უთანხმოებაშიც. მაგალითად, თუ ერმა თავისი დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და თავის ქვეყანას თავისი სახელი დაარქვა, ეს სამართლიანობას ეთანხმება. თუ სხვა დაიპყრო და მის ქვეყანას სახელი გაუუქმა, ეს სამართლიანობას არ ეთანხმება. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები, რათა ეს პროცესები დავინახოთ, და უნდა ვიყოთ სამართლიანნი, რათა მათი სწორი ანალიზი და სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება შევძლოთ.

ამ მარტივ ჭეშმარიტებათა გახსენება დღეს იმიტომ გვჭირდება, რომ ის მემკვიდრეობა, რასაც საბჭოთა იმპერიისაგან ვღებულობთ, დღეს, მრავალ სხვა ფაქტობრივ, იურიდიულ და იდეოლოგიურ სიმახინჯესთან ერთად მოიცავს ერთ ყოვლად ყალბ პრინციპსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის დარგში. ეს პრინციპი (ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ) ასეთია: თუ რომელიმე ადგილას (ამა თუ იმ რესპუბლიკაში) რომელიმე ეროვნული ჯგუფი (არა ის, რომლის სახელიც მოკავშირე რესპუბლიკას ჰქვია) უმრავლესობაა, იგი იღებს ავტონომიას და ამ ადგილს მისი სახელი ერქმევა. ეს პრინციპი საბჭოთა იმპერიას თანმიმდევრულად არ განუხორციელებია (მხოლოდ ზოგან განახორციელა), მაგრამ უკანასკნელ ოფიციალურ დოკუმენტებში იგი სახელმძღვანელოდ აღიარა (იქამდე, რომ დაუშვა არა მარტო ავტონომიური რაიონების, არამედ ავტონომიური სოფლების შექმნაც კი). ამგვარად, გამოვიდა, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობა უახლოეს ხანებში უნდა შეიცვალოს (და მომავალშიც უნდა იცვალოს ხოლმე) იმისდა მიხედვით, თუ სად (რომელ დასახლებულ პუნქტში ან რაიონში) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა როგორი იქნება.

სსრკ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა ჩვენ აღარ გვეხება და არასოდეს აღარ შეგვეხება. მაგრამ პოლიტიკური აზროვნების ამ საბჭოურ წესს დიდი ინერცია აქვს, მით უმეტეს, რომ იგი ხშირად იმოწმებს დემოკრატიისა და ერთა (და ეროვნულ ჯგუფთა) თვითგამორკვევის მსოფლიოში აღიარებულ მცნებას (თითქოს ძნელი დასანახავი იყოს, რომ ამ შემთხვევაში ეხება არა ერთა ან ეროვნულ ჯგუფთა მიერ საკუთარი თავის გამორკვევას, არამედ მოცემული ტერიტორიის კუთვნილებისა და სტატუსის გარკვევას). ამიტომ საჭიროა ამ საბჭოურ ლოგიკას ნათელი პასუხი გაეცეს.

სტაბილურ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, მით უმეტეს — სტაბილურ სახელმწიფოში ზემოხსენებული გადანაწილება-გადმონაწილება ვერ მოხდება. არსებული მსოფლიო პოლიტიკური სისტემა და არსებული სახელმწიფო სისტემა მასში მონაწილე ერთეულების — სხვადასხვა ერების და ერთა ჯგუფების — ამა თუ იმ წესით მიღწეული შეთანხმების შედეგია. შეთანხმების არსი კი ის გახლავთ, რომ იგი მხარეთათვის სავალდებულოა იმისდა მიუხედავად, თუ როგორ წარიმართება შეთანხმების შემდეგ რომელიმე მათგანის კერძო ბედი — დაავადდება იგი თუ ჯანსაღად იქნება, გამრავლდება თუ სანახევროდ გადაშენდება, გამდიდრდება თუ გაღარიბდება. სტაბილობა სახელმწიფოს უპირველესი თვისებაა. ერთსა და იმავე მოცემულ მსოფლიო-პოლიტიკურ სისტემაში ერთა სამფლობელოების გადანაწილება ამ ერთა კერძო ბედისდა შესაბამისად იმას ნიშნავს, რომ ამ სისტემაში და სახელმწიფოში არ არსებობს ნორმალური კანონი, სტაბილურობა, რომ მარტოოდენ ბუნებრივი კანონების ანაბრად, ანუ ბარბაროსის მდგომარეობაში ვიმყოფებით. როცა ძალთა მიმართებაში ახალი პერეტრუბაცია მოხდება, რაც მსოფლიოს სისტემას კიდევ ერთხელ აამოძრავებს და ააყირავებს, მაშინ არც ის ვიცით, რომელ ერს რა დარჩება, და არც ის, რომელი სახელმწიფო იარსებებს და რა ფორმით. მაგრამ სანამ ეს პერეტრუბაცია არ მომხდარა, — სანამ, ისევ, მხატვრულად რომ ვთქვათ, ისტორიის საწერი კიდევ ერთხელ არ აქანავდება — არსებული ხელშეკრულებებიც.

როდესაც საბჭოურად მოაზროვნე პოლიტიკოსები (პირველ ყოვლისა — სსრკ მესვეურნი) ზემოხსენებულ ყალბ პრინციპს აყენებენ, ისინი, პირველ ყოვლისა, სწორედ სტაბილობის ინტერესს იმოწმებენ და სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციისა და სტაბილობის საწყისის, ღირებულების აღიარებას ემყარებიან. როგორც ვხედავთ, მათი პოზიცია ელემენტარულ წინააღმდეგობას შეიცავს.

მკითხველი ხედავს, რომ ჩვენც იმავე დებულებასთან კამათისაკენ მიგვყავს საქმე, რომელსაც ა. გომართელი სავსებით მართებული პოზიციიდან ებაექრება თავის წერილში — დებულებასთან, რომ, თუკი იქს ერის წარმომადგენლებმა იგრეკ ერის ტერიტორიის რაღაცა ნაწილში რიცხობრივ უპირატესობას მიაღწიეს, ამ ტერიტორიაზე მათი ავტონომია უნდა გამოცხადდეს. ამ დებულების დამცველთა ლოგიკა დაახლოებით ასეთია: სანამ ჩვენი რაოდენობა თქვენი მიწა-წყლის ამა და ამ ნაწილში 49%-ს არ ასცდება, ეროვნულ უმცირესობა ვართ და ჩვენი მოფერება გმართებთო, როცა 51% გავხდებით, ამ რეგიონში უმრავლესობა ვართ და მართვა-გამგებლობა ჩვენ უნდა ჩაგვაბაროთ (ამასთან, სრულებით არ განსაზღვრავენ, სახელდობრ, რომელი ტერიტორიულ-ეროვნული რეგიონი, სადაც უმრავლესობა-უმცირესობის ზომავენ: რაიონია, რამდენიმე რაიონი, ქალაქი, სოფელი, უბანი, თუ ერთი სახლი).

ამჯერად არ ვაპირებთ, ამ ლოგიკას ჰუმანიტარული არგუმენტით ვეკამათოთ. „ეს მიწა იგრეკ ერის მამა-პაპათა სისხლითაა მორწყული, იქს ერის შვილებს კი ძირითად უპირატესობად შვილმრავლობა აქვთ, მაშასადამე, მიწა იგრეკ ერის შვილებს უნდა დარჩეთო“. ამ საბუთს არ მოვიყვანთ იმიტომ, რომ ის ეთიკური პოსტულატები, რომლებიც ამგვარ საბუთებს საფუძვლად უდევს, ბევრისათვის უცხოა. დავიმოწმებთ მხოლოდ ისეთ საბუთს, რომლებიც ყველასათვის ცხადია და უდაო პოსტულატებს ემყარება:

თუ ჩემი მეზობლის გამრავლება ან — უფრო ზოგადად ვთქვათ — კეთილდღეობა მე და ჩემს შთამომავლობას გვიქადის აღმოფხვრას, თუ მისი კეთილდღეობის შედეგად წუთისოფლიდან ჩანდევნა, მიწისაგან ექსპროპრიაცია და უსამშობლობა მოგველის, ეს ბუნებრივად მაიძულებს, მისი კეთილდღეობისა და მისი მრავლობის მტერი ვიყო: მაიძულებს ვინანო, რომ პაპაჩემი წინ არ აღუდგა პაპამისს მაშინ, როცა ჩემს გვერდით სახლდებოდა, ან ვეცადო, მე აღვუდგე წინ ჩემს მეტისმეტად კეთილდღეიან მეზობელს, რათა ჩემმა შვილიშვილმა არ დამწყევლოს. ჩემი ეს ზრახვა ჩემს უცხო მეზობელსაც აიძულებს, დამასწროს ბრძოლის დაწყება და, ამგვარად, ჩვენს შორის შეტაკებას გარდაუვალს ხდის. გარდაუვალს ხდის ყველა შემთხვევაში გარდა ერთადერთისა — სახელდობრ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩემი და ჩემი შთამომავლობის საკუთრება ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყული მიწის მიმართ არაა დამოკიდებული ჩემი უცხო მეზობლის კეთილდღეობასა და გამრავლების ტემპზე. ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ის, ობიექტურად, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ნაცვლად მათ შორის დაუნდობელი ბრძოლის, არსებობისათვის ბრძოლის პირობებს ქმნის.

ამგვარად, ერის გარანტირებული, მისი კეთილდღეობისა და გამრავლების ტემპისაგან დამოუკიდებელი საკუთრება, მფლობელობა და მმართველობა მისი ეროვნული ტერიტორიული ეთიკის მეცნიერებიდან გამომდინარე მოთხოვნა — მხოლოდ ე. წ. „მაღალი მატერიებით“ გამოკვებილი მოთხოვნა კი არაა, არამედ ადამიანთა უსაფრთხოების, მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უმარტივესი მოთხოვნაა. ამ გარემოებაზე თვალის დახუჭვის უფლება არა გვაქვს. ამის ართქმა ღალატია არა მარტო ეროვნული ინტერესისა, არამედ სახელმწიფო ინტერესისაც საერთოდ, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესი მოქალაქეთა შორის მშვიდობას და სტაბილობას მოითხოვს.

თქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოში არსებული სტაბილობა და ამ სტაბილობის დაცვის აუცილებლობა, რომელსამე ერს — მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ჩვენს ერსაც — საკუთარი ტერიტორიის არდაკარგვის მარადიულ გარანტიას აძლევდეს. ხდება, რასაკვირველია, რომ ერი მართლაც კარგავს თავის ტერიტორიას. მაგრამ ამ დაკარგვის მექანიზმი სხვაა, ვიდრე ფარატინა ქაღალდის ხელმოწერა ასეთი არგუმენტით: მოცემულ რაიონში იქს ერმა უკვე გადააჭარბა იგრეკ ერს და, ამგვარად, მას ავტონომიური ერთეული ეკუთვნისო. თუ იქს ერი არა მარტო მომრავლდა, არამედ გაძლიერდა, თუ მან იგრეკ ერს აჯობა სიმტკიცით და სწრაფვის სიძლიერით, გონებითა და შემართებით, ალღურვილობითა და ორგანიზაციით, მას მართლაც შეუძლია, რომ მაშინ, როცა ისტორიის ე. წ. საწერი კიდევ ერთხელ აქანავდება, იგრეკ ერზე გამარჯვება მოიპოვოს და მის ტერიტორიას დაეუფლოს. ასეთი დავრდომილი ერის ბედისაგან ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ასეთი სიფათი ერისათვის ბუნებრივია მხოლოდ ისტორიის საწერის ქანაობის ვითარებაში. თუ საწერი გაჩერებულია (სახელმწიფოს არსი კი სწორედ ისაა, რომ მასში ისტორიის საწერი გაჩერებულია), მაშინ მასში ახალი ავტონომიების მოთხოვნა დემოგრაფიული სტატისტიკის საფუძველზე არა მარტო მკვიდრ ერზე ძალადობას ნიშნავს, არამედ თვით სახელმწიფოებრიობის, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ფორმის, იდეაზეც კი.

კომიკურია, მაგრამ ა. გომართელის კრიტიკის ობიექტს, რომელმაც საქართველოში ერთ-ერთი ეროვნული ჯგუფისთვის ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა, ასეთი შეკითხვით შეიძლება მივმართოთ: რატომ ამ ჯგუფს მივცეთ ავტონომია და არა იმ სამოცდაათამდე ჯგუფს, რომელსაც საქართველოში თავისი წარმომადგენლები ჰყავს? რა რიცხვს უნდა აღწევდეს ერის წარმომადგენელთა რაოდენობა და რა ზომას უნდა აღწევდეს მათი განსახლების ადგილი, რომ ავტონომია მივცეთ? რატომ არ უნდა შეიქმნას საბერძნეთის ავტონომიური სოფელი ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვარში, სადაც ბუთახიოდე კომლი ბერძნულად მოლაპარაკე, და რამდენიმე კომლი ქართველი (რომლებიც, შევნიშნოთ აქვე, ბერძენი უმრავლესობის გამო მოკლებული არიან სწავლას დედაენაზე)? რატომ არ უნდა შეიქმნას ასურეთის ავტონომიური სოფელი ს. ქანდაში, სადაც ასირიელები ცხოვრობენ, ან სომხეთის ავტონომიური კვარტლები თბილისში იქ, სადაც სომხები უბანში უმრავლესობას წარმოადგენენ? უჰიპერბოლოდ ვიკითხოთ: ვინ, რომლის ან რა საფუძველზე დაადგინა, რომ სწორედ ის რაიონია ის ტერიტორიული ერთეული, რომლის დემოგრაფიულმა სტატისტიკამაც ამ ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსი უნდა განსაზღვროს? რომ ერთსა და იმავე ეთნიკურ ჯგუფს ეკონომიკური და სხვა სახის უპირატესობები უნდა მივანიჭოთ იმიტომ, რომ იგი უმცირესობაა რესპუბლიკის მასშტაბით, მაგრამ ამავე დროს მართვის უპირატესი უფლებები უნდა მივანიჭოთ იმიტომ, რომ იგი უმრავლესობას წარმოადგენს რაიონის მასშტაბით?

ამ ტრაგიკომიკურ თემას აღარ გავაგრძელებთ. ახლა დემოგრაფიისა და დემოკრატიის ურთიერთობის თემას შევეხოთ.

დემოკრატია გარდა პირადი თავისუფლების გარკვეული ხარისხისა (რასაც ამჯერად არ ვეხებით) ნიშნავს გადაწყვეტილებათა მიღებას უმრავლესობის ნების შესაბამისად, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, გადაწყვეტილებებისა მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც გადაწყვეტათა კომპეტენციაში შედის, და რომლებიც, ამავე დროს, სწორედ ერთობლივ გადაწყვეტილებას საჭიროებენ. არ შეიძლება მაგალითად, ასი კაცი შევიყაროთ და ხმათა უმრავლესობით გადავწყვიტოთ, რომ ასმეერთეს, ან ერთ ასთაგანს რაღაც წავართვათ, ან ისევ ხმათა უმრავლესობით გადავწყვიტოთ, რომელიმე ჩვენთაგანმა შავგვრემანი ქალი ითხოვოს თუ ქერა. ამგვარად, თუ იგრეკ ერის ტერიტორიის რომელსამე რაიონში იქს ერს რიცხობრივი უპირატესობა აქვს, დემოკრატიის პრინციპი ამ უმრავლესობას არ ანიჭებს და ვერ მიანიჭებს ვერავითარ სხვა უფლებას, გარდა საკუთარი თავის მართვისა. სახელდობრ, ვერ მიანიჭებს მას მართვის უფლებას თვით ტერიტორიის მიმართ — ამ ტერიტორიის სამოსახლოდ დარიგების, მასზე არსებული წარმოების მართვის, მისი მოვლა-პატრონობის დაგეგმვის მიმართ და ა. შ. მით უფრო, ვერ მიანიჭებს მას მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მართვის უფლებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს მარტივი გარემოება ხშირად (როგორც წესი) დავიწყებას ეძლევა და შემდეგი ლოგიკა ამოქმედებულა ამა და ამ რაიონში იქს ერი უმრავლესობაა და ამიტომ რაიონის „ხელმძღვანელი“ ამ ერის წარმომადგენელი უნდა იყოს. ეს მოთხოვნა დემოკრატიის სამგზის შემლახავია. ჯერ ერთი, როგორც უკვე ვთქვით, იგი ამ რაიონის ეთნიკურ უმრავლესობას და მის წარმომადგენელს ანიჭებს მართვის უფლებას არა მარტო თვით ამ ეთნიკური უმრავლესობის მიმართ (რასაც სათავისტომო ეყოფოდა), არამედ რაიონის ტერიტორიის მიმართ. მეორეც, იგი სამუდამოდ და პრინციპულად უფლებააყრილს ტოვებს ეთნიკურ უმცირესობას (ამ შემთხვევაში — რესპუბლიკის მკვიდრი ერის წარმომადგენელს ამ რაიონში) რომელიც არასოდეს არ აღმოჩნდება რაიონის სათავეში, რაკი უმრავლესობა არასოდეს არ გახდება. მესამეც, ასეთი მოთხოვნა არაეფექტიანს ხდის თვით მართვას, რადგანაც ამ მართვის განმახორციელებელი პიროვნება შეირჩევა არა უნარის ნიშნით, არამედ ეროვნული ნიშნით, და ეს ზრდის ეთნიკური უმრავლესობის უპირატესობას უმცირესობასთან შედარებით, რადგანაც ისევ და ისევ როგორც ამ ეროვნების წარმომადგენელი თავის ამოცანას თავისი ერის პოზიციების განმტკიცებაში ხედავს.

თავისუფალი სოციალური განვითარება აზროვნების ამ საბჭოურ წესზე ხელის აღებას გულისხმობს. ადამიანთა თანასწორობის გარანტია მათ მოქალაქეობრივ თანასწორობაშია. ერის წმიდათაწმიდა უფლება თავისი ეროვნული ტერიტორიის მიმართ, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ სწორედ გულისხმობს ადამიანთა მოქალაქეობრივ თანასწორობას და მათი ადამიანური უფლებების რეალიზაციას.

დისკუსია

# საით მიდის საქართველო?

დისკუსია

## საით მიყავართ ულტრარადიკალებს?

**წერილში** „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს — ყოფილ არაფორმალებს?..." (გაზ. „საქართველო", 1 მაისი) ავტორი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ულტრარადიკალებს — როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფთ, ისე მათ ოპოზიციონერებს, ეროვნული კონგრესის წევრებს — არსებითად ერთი მსოფლმხედველობა, ერთიანი მიზნები აქვთ და მხოლოდ ცალკეულ ტაქტიკურ საკითხებში განსხვავდებიან ისინი. ერთი შეხედვით, ამაში არაფერი არ არის საგანგაშო, თანხმობის მიღწევა ხომ ეროვნული მოძრაობის სანუკვარ მიზნად არის მიჩნეული, მაგრამ საქმის ვითარება სხვაგვარია: ეროვნული მოძრაობის ორი ძირითადი ფრთა იმდენად უპირისპირდება ერთმანეთს, რომ ადამიანებს ძნელი არჩევანის წინაშე აყენებს, რადგან ორ ერთნაირად ულტრარადიკალურ პოზიციას შორის ძარჩევაც არაფერია. ძნელია, კერძოდ, იმის მდგომარეობა, ვისაც უნდა გაერკვეს, რა განსხვავებაა ულტრარადიკალების ორ ფრთას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის გზების გაგებაში. შორიდან განსხვავება დიდი ჩანს, რადგან არის ურთიერთბრალდებები, ახლოდან კი განსხვავება თვალსა და ხელს შუა ქრება.

დღევანდელი უზენაესი საბჭოს თითქმის პირველი გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება იყო. გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს და მან, როგორც ჩანს, მოუმრავლა მომხრეები მმართველ წრეებს. არ შეიძლება სერიოზულად იმაზე ბჭობა, თითქოს ავტონომიის გაუქმება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ გამოიწვია, მას მხოლოდ დაჩქარება შეეძლო, რადგან ავტონომიის გაუქმების კანონიერებაში ეჭვი არავის შეუტანია, ხოლო როგორი იყო ეროვნული კონგრესის მესვეურთა რეაქცია? მათ ეს გადაწყვეტილება შეცდომად მიიჩნიეს, ოღონდ იმ მოტივით, რომ ის თითქოს ნაჩქარევი იყო. მაპატიონ ღირსეულმა კონგრესმენებმა, მაგრამ მათი შეხედულება მაგონებს მეცნიერული კომუნიზმის ცნობილი „სპეციალისტის" სიტყვებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მოვისმინე მოსკოვში თათბირზე: «Сейчас невыгодно говорить о слиянии наций».

იქნებ დღეს, როცა ომი გრძელდება, ვინმეს ავტონომიის ხსენებაც კი უდროოდ მოეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ომს ასაზრდოებს არა მარტო განწყობილება „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ავტონომია უნდა შევინარჩუნოთ", არამედ ასეთივე მტკიცე გადაწყვეტილებაც: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, არ უნდა დავუშვათ ავტონომიის აღდგენა".

ამბობენ, რომ სავსებით სამართლიანად გაუქმდა „ძირძველ" ქართულ მიწაზე ბოლშევიკების მიერ უკანონოდ შექმნილი ავტონომია. არ გავიმეორებ რუსულ ლიტერატურულ გაზეთში გამოთქმულ შეპასუხებას: ასეთ შემთხვევაში ბოლშევიკების შექმნილი ქარხნებიც უნდა დაგვენგრიაო, მაგრამ ის მაინც არის ჩემთვის გაუგებარი, თუ რატომ არის დასაშვები მხოლოდ დაპყრობილი ხალხების ავტონომია (ამით ხსნიან ავტონომიების სიმრავლეს რუსეთის ტერიტორიაზე), ხოლო თუ ხალხი გარკვეული ისტორიული მიზეზებით სხვა სახელმწიფოში აღმოჩნდა კომპაქტურად დასახლებული, მისი ავტონომია გაუმართლებელი იყოს. მაგრამ ვთქვათ, სამხრეთ ოსეთის ავტონომია, მართლაც, უკანონოდ შეიქმნა, მაგრამ განა ყოველგვარი უკანონობის შედეგების მოსპობა მიგვაჩნია სასურველად? ალბათ სამართლიან და კანონიერ აქტად ვერ მივიჩნევთ თურქების გასახლებას სამხრეთ საქართველოდან, მაგრამ მაშინ რატომ არ ვიბრძვით სამართლიანობის აღსადგენად? იმის თქმა არ მინდა, თითქოს საკითხი იოლად იყოს გადასაწყვეტი, მაგრამ რატომ ხდება ის, რომ თურქების დაბრუნება იმ ტერიტორიაზე, საიდანაც ისინი გაასახლეს, დაუშვებლად არის მიჩნეული, ხოლო თუ ოსები ეწინააღმდეგებიან ინგუშების დაბრუნებას, ეს მათ აგრესიულობას მიეწერება? არაერთი კონფლიქტი ყოფილა და არის ამიერკავკასიაშიცა და კავკასიის ქედის გადაღმაც, მაგრამ რატომ მაინცა და მაინც ინგუშებისა და ოსების კონფლიქტმა მისცა საფუძველი საზოგადოება „თვისტომის" წევრებს იმისათვის, რომ დაესვათ ღრმა ფილოსოფიური კითხვა: „საოცარია, საიდან მოვიდა მშვიდობიან კავკასიურ მოსახლეობაში დამპყრობლური ოსური ფენომენი?" მართლაც, საიდან გაჩნდა ეს ორმაგი ბუღალტერია? კომუნისტის მორალური კოდექსისაგან გავთავისუფლდით, მაგრამ ჰოტენტოტების მორალით შევიარაღდით: სიკეთეა, როცა სხვას ვართმევ ცოლს, ბოროტება — როცა მე მართმევენო?

წერილში „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს..." ნათქვამია, რომ ულტრარადიკალების ორივე ფრთას ურაპატრიოტობა ახასიათებს. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამის განზოგადება, მაგრამ ოსებისადმი დამოკიდებულებას, მართლაც, მნიშვნელოვანწილად ურაპატრიოტობა განაპირობებს. საერთოდ ჩვენში გავრცელდა პატრიოტის სახელის მოპოვების ეფექტიანი ხერხი. მახსოვს, ერთხელ მატარებელში თელაველმა თანამგზავრმა მითხრა, სომხების ჯილაგი გასაწყვეტიაო, შემდეგ გვარი ვკითხე და არუთინოვი აღმოჩნდა. ჩემს თანამგზავრს, როგორც ჩანს, სომხების ლანძღვით უნდოდა ნამდვილი ქართველის სახელი დაემკვიდრებინა. ასევე იქცევა ბევრი რადიკალი თუ მათ ფეხის ხმას აყოლილი ადამიანი. ამის შედეგია ის, რომ გადაშლი გაზეთს და გაიგებ, ოსებს თურმე გენებში ჰქონიათ მოღალატეობა, ისინი დედის მუცლიდან „სტრაჟნიკებად" იბადებიან, სულ ცოტა ხნის წინ ველური ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ თავიანთ ცივილიზებულ კეთილისმყოფელებს და ა. შ. დაწერა კომუნისტების ყოფილმა თავკაცმა, შიდა ქართლი უცხო ეთნოელემენტისაგან უნდა გავათავისუფლოთო, რაში არ შეედავნენ მას ფიცხელი ბიჭები, უცხო ეთნოელემენტის განდევნის მოთხოვნა კი არავის მოეჩვენა საჩოთიროდ. ვიცი, მეტყვიან, ასეთი ლაპარაკი „სეპარატისტებმა" დაიწყესო, მე კი მგონია, ერის ლანძღვა, რომელმა მხარემაც არ უნდა იკისროს ის, არავის ეპატიება.

ალბათ იმასაც მისაყვედურებენ, რა დროს გაზეთებია, როცა სისხლი იღვრება და ადამიანებს ცოცხლად სწვავენო. დიახ, ომია გაჩაღებული, მაგრამ ომი, როგორი უთანასწოროც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის ორ მხარეს შორის ომია, მისი შედეგი კი მხოლოდ იმაზე როდია დამოკიდებული, თუ რომელ მხარეს რა იარაღი აქვს. ცოტას არ ნიშნავს ისიც, თუ რა იცის მსოფლიომ ამ ომის შესახებ. სიტყვით დაიწყო ეს სამყარო და სიტყვით დამთავრდება ალბათ. „მიმართვაში საქართველოს უზენაეს საბჭოს, დღეს საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას", რომელსაც ქართული ინტელიგენციის ავტორიტეტული წარმომადგენლები აწერენ ხელს, ნათქვამია, რომ საბჭოთა პროპაგანდის ინფორმაციული ომის მიზანია გამოიყვანოს ქართველი დამნაშავედ. მზაკვრული მიზანია. მაგრამ იქნებ ამის საწინააღმდეგოა ჭეშმარიტება, ის, რომ „შიდა ქართლში, საქართველოს ძირძველ მიწაზე შემოთესლილმა უცხო ძალამ ჩაიფიქრა, დაგეგმა და ბოლოს განახორციელა საშინელი დანაშაული — ქართველთა გენოციდი" („ბრალდება ერთია — დანაშაული ქართველი ერის წინაშე", „საქართველოს რესპუბლიკა", 14. 2. 1991)? არ გავიმეორებ ქართველი თავადაზნაურობის ყოფილი წინამძღოლის სიტყვებს ფრანგული გაზეთიდან, მით უფრო რომ დედანს არ გავცნობივარ, მაგრამ საკითხავია, რატომ არ უჯერებს ის ქართულ პრესას? იქნებ იმიტომ, რომ არც ის არის ულოდველი? იქნებ ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე ამბავი საკავშირო პრესის მიერ აღწერილია როგორც ოსურ სოფელზე თავდასხმა, ხოლო ქართული პრესის მიერ — როგორც ოსი სეპარატისტების თავდასხმა გორის რაიონის სოფ. ბერშუეთზე? ან ქართველმა ტელემაყურებელმა, რომელმაც მოისმინა ენერგეტიკოსების განმარტება, ჩვენი ბლოკადისაგან თუ ბავშვები და მოხუცები ზარალდებიან. აქციაზე ეს ხელს ვერ აგვაღებინებსო, როგორ შეიძლება გაიზიაროს ქართველი მწერლების აღშფოთება იმის გამო, რომ უკრაინელმა მწერალმა, სახალხო დეპუტატმა ბ. ოლეინიკმა ტყუილი იკადრა — საკავშირო ტელევიზიით გამოსვლაში ბლოკადა დაგვაბრალა, მაშინ როცა ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ ორიოდე ქარხანას შევუწყვიტეთო. დიახ, სისხლი იღვრება, მაგრამ იღვრება სწორედ იმიტომ, რომ ურაპატრიოტები გულში მჯიღის ცემით გაჰყვირიან „თუნდაც სისხლის ფასად", „უკანასკნელ ადამიანამდე". და ყველაფერი ეს რისთვის ხდება? ღირს კი ან ავტონომიის გაუქმება ან მისი შენარჩუნება იმ სისხლად, რომელიც ამისთვის იღვრება?

არ ღირს ნამდვილად. იყო „უკანონოდ შექმნილი" ავტონომია და ქვეყანა არ დაუქცევია. თუ რაიმე სჭირდა მას, სჭირდა ის, რაც მთელ ქვეყანას სჭირდა. თავს ნუ მოვიტყუებთ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გარეშე იქ არაფერი არ კეთდებოდა. მეორე მხრივ, ცხოვრობენ ადამიანები ავტონომიის გარეშეც. მთავარი ისაა, რატომ და რა ვითარებაში აუქმებენ მას.

მე კი დავუბრუნდები წერილს „საით მიჰყავთ საქართველო..." მისი ავტორი ულტრარადიკალების შეცდომებზე ლაპარაკობს, აფხაზეთსაც ახსენებს, ხოლო ოსეთის ავტონომიას რატომღაც გვერდს უვლის. მიზეზი მარტივია: თვითონაც მიუძღვის წილი ურაპატრიოტულ კამპანიაში, რომელიც პრესის ფურცლებზე გაიშალა, კერძოდ, შარშან თებერვალში გამოქვეყნებულ ჩემს წერილთან დაკავშირებით. იმ პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტი იყო გამწვავებული (ეთნოკონფლიქტების არსებობას ჩვენში უარყოფენ, რადგან ისინი ცენტრის მიერ არისო ინსპირირებული, იმას კი აღარ ითვალისწინებენ, რომ ამ სატანურმა ცენტრმა ორივე მხარეს შეიძლება პროვოკაციული ნაბიჯები გადადგმევინოს) და ამ ვითარებაში ულტრარადიკალებს და მათ წამხედვარებს, ალბერ კამიუსი არ იყოს, ძალიან ხმამაღალი ეჩვენათ ჩემი დუმილი, მომთხოვეს დამეგლიჯა ის ან დამეტოვებინა მეცნიერებათა აკადემია. მე მათ ორივე თხოვნა შევუსრულე — აკადემიაც დავტოვე (მით უფრო, რომ მასში იმ რეგიონის წარმომადგენლად ვიყავი არჩეული, რომელიც უკვე გასაუქმებლად იყო განწირული) და ჩემი დუმილის საიდუმლოც გავამჟღავნე: კონფლიქტში მე ორივე მხარეს ვადანაშაულებდი, ხოლო ერთ-ერთი მხარის კრიტიკას, უფრო სწორად თვითკრიტიკას, ქართული ინტელიგენციის მოვალეობად მივიჩნევდი. დღეს, შეიძლება ითქვას, ამგვარი თვითკრიტიკა დაიწყო და მისი ნიშანია წერილიც „საით მიჰყავთ საქართველო..." ამაშია წერილის არაორდინარულობაც.

მაინც საით მივყავართ ულტრარადიკალებს? კითხვა ასეც შეიძლებოდა დაგვესვა: იქნებ ჩვენ მიგვყავს ისინი? იქნებ ჩვენი ურაპატრიოტობით, გარეშე მტრების ძიებით თვითონ ვუბიძგებთ მათ იმ შეცდომებისაკენ, რომლებისთვისაც შემდეგ ვაკრიტიკებთ? იქნებ ჯერ საკუთარ თავში უნდა დავძლიოთ ულტრარადიკალიზმი და შემდეგ მოვითხოვოთ ლიდერებისაგან პოლიტიკური გეზის შეცვლა? ულტრარადიკალებს იქით მივყავართ, საითაც თვითონ მივილტვით. ეს ძალზე ზოგადი პასუხია, მაგრამ უფრო კონკრეტული პასუხისაგან თავს ვიკავებ — ე. წ. უძრაობის პერიოდში ერთმა ლექტორმა მსგავსი კითხვა დაუსვა სტუდენტებს — საით მიდის საბჭოთა ქვეყანაო და ორი პროპაგანდისტული ფორმულაც შეახსენა: „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს" და „თანამედროვე კაპიტალიზმი უფსკრულისკენ მიექანება". კოლეგებმა და სათანადო ორგანოებმა პერესტროიკის დაწყების ნაცვლად ლექტორი სტუდენტებს ჩამოაშორეს, დღეს კი ისინი ულტრარადიკალებს უდგანან მხარში: ასეც უნდა იყოს, მთავარია, იყო იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე ხაზზე, არა აქვს მნიშვნელობა, რა იდეოლოგიაა გაბატონებული, ოღონდ იყოს. ისევ კამიუს გმირის სიტყვებს გავიხსენებ „მთავარია კანონის დაცვა, თუნდაც დანაშაული იყოს დაკანონებული"... ის ლექტორი შეიფარა დაწესებულებამ, რომელშიც მე ვმუშაობ, და თუ მე მომაშორეს ამ დაწესებულებას, არ ვიცი, ვინ შემიფარებს.

**ოთარ ჯიოევი**

**რედაქციისაგან:**

**მკითხველი** ადვილად შეამჩნევდა, რომ ბატონ ოთარ ჯიოევის წერილის თემა არის არა იმდენად ის, თუ „საით მივყავართ ულტრარადიკალებს" (მით უფრო — „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს — ყოფილ არაფორმალებს?"), არამედ, თუ მისსავე ტერმინს დავესესხებით, „ქართულ-ოსური კონფლიქტი".

ამას აღვნიშნავთ არა იმიტომ, თითქოს ავტორს თემას ვუწუნებდეთ, პირიქით, ძალიანაც მოგვწონს, რომ ო. ჯიოევმა გამოხატა თავისი პოზიცია ამ მტკივნეულ საკითხისადმი; და გამოხატა საკმაოდ არაორაზროვნად, რაც, ასევე მისასალმებელია (როგორც იტყვიან, გაუეღილს გატეხილი სჯობია).

ჩვენც ამთავითვე ასევე არაორაზროვნად ვიტყვით, რომ ვერაფრით ვერ გავიზიარებთ ბატონ ოთარ ჯიოევის პოზიციას, აღნიშნული კონფლიქტის მისეულ შეფასებას.

დავიწყოთ იმით, რომ ბ-ნ ოთარის აზრით „არ შეიძლება სერიოზულად იმაზე ბჭობა, თითქოს ავტონომიის გაუქმება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ გამოიწვია, მას მხოლოდ დაჩქარება შეეძლო, რადგან ავტონომიის გაუქმების კანონიერებაში ეჭვი არავის შეუტანია".

მაშ, რამ გამოიწვია ეს გაუქმება, ბატონო ოთარ? სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებას მხოლოდ გაუქმების დაჩქარება შეეძლოო, რომ ბრძანებთ, განა 1990 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის პირველივე სხდომაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ საზგასმით არ განაცხადა, რომ ავტონომიები საქართველოს ტერიტორიაზე ხელშეუხებელი იქნებოდა?!

პირდაპირ გაუქმების ფაქტით რომ იწყებთ, ის რატომ არ მიგაჩნიათ „სერიოზული ბჭობის" ღირსად, თუ რამდენად კანონიერი იყო საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" გამოცხადება, რაც ყველა სამართლით ელემენტარულად ქართული მიწის მიტაცების ცდას წარმოადგენდა?! (ოს სეპარატისტთა წინამძღოლები ხომ არც მალავდნენ თავიანთ „დიად მიზანს" — „ორი ოსეთის" გაერთიანებას!). ან ის ფაქტი რატომ „გავიწყდებათ", რომ ახლადგამომცხვარი „რესპუბლიკის" უზენაესი საბჭოს 9 დეკემბრის უკანონო არჩევნების წინ საქართველოს პროკურატურამ ოფიციალურად გააფრთხილა არჩევნების ორგანიზატორები, ხელი აეღოთ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ამ მტრული აქციისაგან, რაც ოსურმა მხარემ ყურად არ იღო (საერთოდ, დემონსტრაციულად დასტოვა ყოველგვარი რეაგირების გარეშე), რითაც, ფაქტობრივად, აიძულა საქართველოს უზენაესი საბჭო, ქვეყნის ინტერესების, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის გადაედგა აღნიშნული ნაბიჯი.

და, ბოლოსდაბოლოს, პირველმა განა ისევ ოსურმა მხარემ არ გააუქმა ავტონომიური ოლქი ზემოაღნიშნული რესპუბლიკის გამოცხადებით?! შეიძლება გვითხრათ, ამ რამდენიმე ხნის წინ ხომ გავაუქმეთ რესპუბლიკა და ოლქი აღვადგინეთო, მაგრამ ის როგორ მოგწონთ, რომ „აღდგენილი" ოლქი რსფსრ-ის იურისდიქციაში „შეიყვანეს", რაც კიდევ ერთ აგრესიას წარმოადგენს — საქართველოს წინააღმდეგ!

ბატონო ოთარ, როგორც ფილოსოფოსს, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ თქვენი „შეპასუხება", — თუ „ძირძველ" ქართულ მიწაზე ბოლშევიკების მიერ უკანონოდ შექმნილი ავტონომია სამართლიანად გაუქმდა, ასეთ შემთხვევაში ბოლშევიკების შექმნილი ქარხნებიც უნდა დაგვენგრიაო, — ფილოსოფიაში სოფისტურ მსჯელობად იწოდება (რაც შეეხება ქართული მიწის ძირძველობის წინწკლებში ჩასმას, ამას უფრო მკაცრი სახელი, კერძოდ, აქსიომატური ჭეშმარიტების უტიფრად გაყალბება ჰქვია).

ბრძანებთ, ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ არის დასაშვები დაპყრობილი ხალხების ავტონომია და გაუმართლებელი — სხვა სახელმწიფოში კომპაქტურად დასახლებული ხალხების ავტონომიაო.

გაგაგებინებთ (თუმცა, დარწმუნებული ვართ, არაფერიც არაა თქვენთვის „გაუგებარი", უბრალოდ, ამ შემთხვევაშიც სოფისტური მსჯელობით ცდილობთ მკითხველის დაბნევას).

პირველებისათვის (დაპყრობილი ხალხებისათვის) იმიტომაა დასაშვები ავტონომია, რომ ისინი საკუთარ მიწაზე ცხოვრობენ, ხოლო მეორენი — სხვის მიწაზე. ნუთუ ერთ სიბრტყეზე დასაყენებელნი არიან ისინიც, რომლებიც დაიპყრეს, სახელმწიფო მოუშალეს და „სანაცვლოდ" ავტონომია „აჩუქეს", და ისინიც, რომლებსაც სხვის მიწაზე უკანონოდ აქვთ ავტონომია (არა კულტურული, არამედ ადმინისტრაციული ავტონომია!). მხოლოდ იმიტომ, იმ „დამსახურებისათვის", რომ ამ მიწაზე „კომპაქტურად დასახლებული აღმოჩნდნენ"! ამ „ლოგიკით" და „სამართლით" ხომ საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ავტონომიური დანაყოფი უნდა გაჩენილიყო!

ასევე ერთ სიბრტყეზე არ უნდა დავაყენოთ თურქები და ინგუშები.

თურქების („მესხეთელი თურქების") დაბრუნება-არდაბრუნების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენში, ამიტომ მოკლედ ვიტყვით: სწორედ იმიტომ, რომ მათი უმრავლესი ნაწილი, მათი წინამძღოლები (საზოგადოება „ვატანის" სახით) თავს თურქებად თვლიან, სამხრეთ საქართველოში თურქული ავტონომიის შექმნას (ხოლო შემდეგ თურქეთთან შეერთებას) ისახავენ მიზნად, „დაუშვებლად არის მიჩნეული" მათი დაბრუნება. რომელი ჭკუათმყოფელი ქვეყანა (მით უმეტეს, ისეთი ქვეყანა, როგორიც ამჟამად საქართველოა — შინაურ თუ გარეშე მტრებთან ომში ჩათრეული, ეკონომიკური კატასტროფის საშიშროების წინაშე მდგომი, სტიქიური უბედურებისაგან „განებივრებული"...), ხალხი დაუშვებდა ამგვარი მტრული განზრახვებით მომავალი (თუ მოგზავნილი) ხალხის უზარმაზარი მასის შემოშვებას?! (სხვანაირ მიდგომას მოითხოვენ ისინი, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოში მოდიან და არა თურქეთში. და საერთოდ, ყველას ერთ „თურქულ ტაფაში" მოქცევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს თურქული ორიენტაციაა გაბატონებული ამ მასაში, რისი გაუთვალისწინებლობაც არაფრით არ შეიძლება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან).

ხოლო თუ ოსები ეწინააღმდეგებიან ინგუშების დაბრუნებას, ეს მათ აგრესიულობას რატომ მიეწერებაო, — „უკვირს" ბატონ ოთარს.

აბა, რას უნდა მიეწეროს?! მიიტაცეს (იმპერიის ლოცვა-კურთხევით) სხვისი მიწები (ამ მიტაცების ფაქტს ვერავინ უარყოფს, მათ შორის ბატონი ო. ჯიოევიც), ეწინააღმდეგებიან მათს დაბრუნებას (და ეწინააღმდეგებიან რუსის ხიშტის დახმარებით) და საგნებს თავისი სახელიც აღარ დავარქვით?! აგრესიულობას აგრესიულობა, დამპყრობლურ ფენომენს დამპყრობლური ფენომენიც აღარ ვუწოდოთ?! მართლაც სადაური ბუღალტერიაა?! სადაური მორალია: წავართვი, მაგრამ მძარცველი, აგრესორი არა ვარო?!

რაც შეეხება ურაპატრიოტობას, თქმა არ უნდა, კარგი საქმე არაა ურაპატრიოტობა და სამართლიანადაც იწუნებს მას ბ-ნი ო. ჯიოევი. მაგრამ უსამართლობაა, რომ იგი

ვე-

...ენტს ქართველ ურაპატრიოტე-...ე, „ქართულ ურაპატრიოტიზმ-...“ აკეთებს, მეორე მხარის, ოს-... ურაპატრიოტიზმზე კი ხმას არ ...ებს; მაშინ, როცა, სწორედ ამ ...ანასხენელთა აგრესიულმა. ...ოლიტიკურ საქმიანობაში ...ესპუბლიკის გამოცხადება, ...რჩევნების ჩატარება, ქართვე-...თა გენოციდი) გამოხატულ-... ურაპატრიოტიზმმა გააჩაღა ...ი, და არა ამა თუ იმ ქართ-...ლის ამა თუ იმ გამონათქ-...ამა (გამონათქვამებთან და-...ვშირებითაც ისე უჭირავს ...ავი ამ დალოცვილს, თით-...ს ოსებს სულ თაფლი და ...ქარი ამოსდიოდეთ პირი-...ან!).

...ედმეტად მიგვაჩნია შევჩერდეთ ...ვარ „წვრილმანებზე“, როგო-...ცაა: „ვერ დანახვა“ „ორ მხარეს ...რის ომში“ მთავარი მონაწილის — იმპერიისა — თავისი ჯარით, ...რალით, აქტიურად რომ დგას ოს-... მხარეზე; საკავშირო პრესის, როგ-...ც ობიექტური პრესის დამოწმება, ...ოლენიკის საქციელით ქართვე-... მწერლების აღშფოთების „ვერ ...ხიარება“...

„უკანონოდ შექმნილ“ ავტონო-...ს ქვეყანა არ დაუქცევია, — ...ნიშნავს ბ-ნი ო. ჯოიევი (რო-...რც ვხედავთ, იგი დღემდე პრი-...ციპულად არ სცნობს ბოლშევი-...ა მიერ ხელოვნურად შექმნილი ...სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის ...ანონობას), — და თუ მას რამე ...ირდა, სჭირდა ის, რაც მთელ ...ქვეყანას სჭირდა“.

...ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტო-...მიურ ოლქს, აქ მოსახლე ოსებს, ...მდვილად არ სჭირდათ ის, რაც ...ერთ საბჭოეთის სხვა ავტონომი-... დანაყოფებს (გარდა აფხაზე-... ავტონომიური რესპუბლიკისა), ...ადაც თითქმის ყველა მკვიდრ...ს დაავიწყეს ენა, კულტურა, ...სტორია... შორს რომ არ წავი-...თ, სამისოდ ჩრდილოეთ ოსე-...ის ავტონომიურ რესპუბლიკაში ...მოსახლე ოსების მაგალითიც იკმა-...ებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ...სხებად აქციეს.

...ოლო როგორ „იჩაგრებოდნენ“ ...სები ყოფილ ავტონომიურ ოლქ-...ში (მთლიანად საქართველოში), ...ფიქრობ, ეს მაინც არ უნდა იყოს ...უცნობარი“ ბ-ნი ო. ჯოიევისათ-...ს (ეს რომ ასე არ იყოს, ...რეოლში გაკვრით მაინც რო-...ერ არ შეეხებოდა ყოფილი ავ-...ტონომიური ოლქისა და მისი მო-...სახლეობის ოსური ნაწილის უფ-...ლებების შელახვის საკითხს!).

...ძნელია იმ კაცთან კამათი, რო-...მელსაც პრინციპულად, ჯიუტად ...არ უნდა „გაიგოს“ უბრალო, ეჭვ-...მიუტანელი ჭეშმარიტებანი, „და-...ინახოს“ აშკარა ფაქტები. ო. ჯოი-...ევის თქმით ხომ „ცოცხალი ფიგუ-...რებით ჭადრაკის თამაში“ „ადამონ ...ნასს“, ჩოჩიევ-ჩეხოევ-კულუმბე-...გოვსა და კომპანიას და კრემლს ... არა, თურმე საქართველოს ...ხელისუფლებას დაუწყია!..

...შარშან ჩემს წერილთან დაკა-...ვშირებით პრესის ფურცლებზე ...ჩემს წინააღმდეგ ურაპატრიოტუ-...ლი კამპანია გაჩაღდაო. — იხსე-...ნებს ბ-ნი ო. ჯოიევი. როდესაც ...ქართველი ინტელიგენციის თვით-...კრიტიკაზე ლაპარაკობთ, ბატონო ...ოთარ, კარგი იქნებოდა ახეთივე ...თვითკრიტიკული დღეს მაინც ყო-...ფილიყავით ამ „კამპანიის“ საფუ-...ძვლის — საკუთარი წერილის, მი-...მართ, რომელიც ტენდენციურ, ან-...ტიქართულ ხასიათს ატარებდა — ... საერთოდ თქვენი პოზიციის ...მიმართ „ქართულ-ოსური კონფლი-...ქტის“ საკითხში, რომელიც თქვენს ... წერილშიც კარგად გამოჩნდა.

...დაბოლოს, რაც შეეხება ო. ჯოი-...ევის წერილის გულისამაჩუყებელ ...ფინალს, თუ ჩემს სამსახურს მომა-...შორებს, არ ვიცი ვინ შემიფარებსო. ...დალოცვილო, თქვენი სისხლისა-... ჩვენ გვებრძვიან, ცოცხლად ...გვწვავენ, ძალა რომ შესწევდეთ, ...მთლიანად საქართველოს გადაბუგ-...ვასაც არ იტყვიან უარს, ამ დროს, ... თქვენ, ინტელიგენტი კაცი, მათ ...წინააღმდეგ ხმას არ იღებთ, პირი-...ქით, ჩვენ გვამუნათებთ და გვამტ-...ყუნებთ, თან თავს გვაბრალებთ, ...ვენ რომ გამიშვათ, არ ვიცი, ვინ ...შემიფარებსო!

...შეფარებული არ გვყავხართ თქვე-... და თქვენი ჯილაგიც, ოთარ ბა-...ტონო? ძმასავით არ გვყავხართ ჩა-...ხუტებული? მერედა, რით გადაგვი-...ხადეთ?! უმადურობით, შავი უმადუ-...რობით!...

# სიტყვა ოპოზიციას

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე კონგრესი (ყრილობა)

1991 წლის 8, 9, და 10 ივნისს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე კონგრესი. კონგრესის სხდომებს თავმჯდომარეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი.

**I დღე**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივნის ბატონ მამუკა გიორგაძის მისალმების შემდეგ ყრილობამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, სარედაქციო ჯგუფი, დაამტკიცა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე ყრილობას მიესალმნენ ბატონი ნოდარ ნათაძე, ბატონი ვალერიან ადვაძე, ბატონი გიორგი ყორღანაშვილი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე და ბატონი რუსლან მიქაბერიძე.

საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბატონი გიორგი ჭანტურია, რის შემდეგაც გაიმართა კამათი (კამათში მონაწილეობა მიიღო 21 პირმა).

**II დღე**

დილის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის პოლიტიკური მდივანი ბატონი მამუკა გიორგაძე, რომელიც განვლილ პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს შეეხო. ბატონმა გიორგაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პარტიისათვის ესოდენ მძიმე პერიოდში, მაშინ, როდესაც სხვადასხვა შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებულია 8 ეროვნულ-დემოკრატი (მათ შორის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბატონი ვახტანგ ტალახაძე), არამცთუ არცერთ პირს პარტიის რიგები არ დაუტოვებია, არამედ პირიქით, პარტია იზრდება და მისი გავლენის სფეროები ფართოვდება.

თანამოხსენებებით გამოვიდნენ:

ქალბატონი ირინა სარიშვილი, რომელმაც დასავლეთის პრესის მიმოხილვა გააკეთა და ბევრი საინტერესო სტატიის შინაარსი გააცნო ყრილობას. მან, აგრეთვე, ისაუბრა პარტიის პრესცენტრის საქმიანობაზე; ბატონი გიორგი ზუმბაძე, რომელმაც ისაუბრა მოსკოვში ახლახანს ამოქმედებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არაოფიციალური წარმომადგენლობის შესახებ;

ბატონი ვასილ ჭყოიძე, რომელიც ამა წლის თებერვალში ორი პარტიის გაერთიანების დებით შედეგებს შეეხო;

ბატონი გიორგი ჭანტურია, რომელმაც დარბაზს სამი რეზოლუციის პროექტი გააცნო. კამათის შემდეგ სამივე რეზოლუცია მიღებულ იქნა (რეზოლუცია საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ, რეზოლუცია პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, რეზოლუცია საქართველოში შექმნილი კრიმინოგენური ვითარების თაობაზე).

შესვენების შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ ბატონი ირაკლი ქადაგიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საერთაშორისო კონტაქტები);

ბატონი თენგიზ შარმანაშვილი (ადამიანთა უფლებების დაცვა საქართველოში);

ბატონი გურამ ჩახვაძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური პლატფორმა);

ბატონი თემურ ფიფია (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივა დემოკრატიული ძალების გაერთიანების საქმეში და პარლამენტური ტიპის ეროვნულ-დემოკრატიული კავშირის შექმნის აუცილებლობა);

ბატონი გიორგი კობახიძე (ეკონომიკის მოდერნიზაცია და საქართველო);

ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი (პარტიის სამომავლო გეგმები).

დღის ბოლოს გაიმართა კამათი.

**III დღე**

ყრილობამ მიიღო მისალმება პარიზში მცხოვრებ უხუცეს ეროვნულ-დემოკრატ ბატონ მიხეილ ქავთარაძისადმი.

ბატონმა თენგიზ შარმანაშვილმა ყრილობას გააცნო პარტიის პროგრამისა და წესდების ახალი რედაქცია, რომელიც კამათის შემდეგ მიღებულ იქნა.

პროგრამისა და წესდების მიღების შემდეგ გაიმართა მთავარი კომიტეტის არჩევნები. მთავარი კომიტეტი აირჩა შემდეგი შემადგენლობით:

პარტიის თავმჯდომარე — გიორგი ჭანტურია, პოლიტიკური მდივანი — მამუკა გიორგაძე;

მდივანი — თენგიზ შარმანაშვილი;

პრესმდივანი — ირინა სარიშვილი;

თავმჯდომარის მოადგილე — ვანო ხუხუნაიშვილი;

პოლიტიკური მდივნის მოადგილე — ვახტანგ ტალახაძე;

საგარეო ურთიერთობათა კომისიის მდივანი — ირაკლი ქადაგიშვილი;

ეკონომიკური კომისიის მდივანი — გურამ ჩახვაძე;

პარტიის სრულუფლებიანი და მუდმივი წარმომადგენელი — გიორგი ზუმბაძე;

პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი — თენგიზ გუდავა (გერმანია).

---

## პრეამბულა

საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის მანძილზე, ნათელი გახდა:

ა) საქართველოს ხელისუფლება მთლიანად დამოკიდებულია ცენტრზე და ვერ ახორციელებს დამოუკიდებელ კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ). ქართველი ერი მოკლებულია თავდაცვის საშუალებებს, მისი სურვილები და უფლებები იგნორირებულია, საქართველოს ბედს მოსკოვი წყვეტს;

გ). საქართველოს არ გააჩნია სახელმწიფოებრიობა და ის არის უცხო ქვეყნის ნაწილი. ქართველი ერის ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ:

დ) ერის სულიერი ცხოვრება ჩამკვდარია, ეკლესია იმყოფება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ამის შედეგია ზნეობის დაცემა;

ე). ხელოვნურად დარღვეულია დემოგრაფიული წონასწორობა;

ვ). საქართველოს ბუნება ჩანაგდება, ქვეყანა დგას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე;

ზ). ქართული კულტურა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, დაბალ დონეზე იმყოფება;

თ) განათლების სისტემა ემსახურება არა განათლების, არამედ ადამიანის სულის დამახინჯების საქმეს. საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა საჭიროებს არა რეფორმას, არამედ აუცილებელია მისი ძირფესვიანად შეცვლა;

ი) ქართველი პატრიოტები იდევნებიან, მათ არ ეძლევათ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოთქმისა და გავრცელების საშუალება. ისინი იმყოფებიან დამსჯელი ორგანოების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ. მათ წინააღმდეგ იყენებენ პროვოკაციებს, მიმართავენ რეპრესიებს.

საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ადამიანთა უფლებები გამუდმებით ირღვევა;

კ). საქართველო არის რუსეთის კოლონია ეკონომიკურადაც. საქართველოს ეკონომიკა არის რუსეთის ერთიანი ეკონომიკის ნაწილი და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება განსაზღვრულია არა საქართველოს, არამედ იმპერიის ინტერესებით;

ლ) საქართველოში ძალით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რადგან ქართველი ერისათვის მიუღებელი იყო როგორც სხვისი ქვეყნის ნაწილად ყოფნა, ისევე ტოტალიტარიზმი. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის აუცილებელია სრული დეოკუპაცია და ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა

**ძირითადი ნაწილი**

1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის მეოთხე დასის ავანგარდი, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა დემოკრატიული და შეურიგებელი ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება;

2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დემოკრატიის დამკვიდრება, ადამიანთა უფლებების განუხრელი დაცვა;

3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიზნად ისახავს მოდერნიზებული იმპერიის რღვევის პროცესებისათვის ხელის შეწყობას და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაჩქარებას;

4. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს თეოდემოკრატია, რაც ტრადიციული დემოკრატიული ღირებულებების გარდა გულისხმობს ეკლესიის წამყვან როლს ერის ცხოვრების მორალურ საკითხებში;

5. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იბრძვის საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ერთეულის უფლებების დაცვისათვის, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური მშვიდობისათვის;

6. ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ იმპერიაში არსებულ დემოკრატიულ და ეროვნულ ძალებთან; ჩვენი მიზანი ერთია და თავისუფლებასაც ერთად მივაღწევთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის ანტიტოტალიტარულ, დემოკრატიულ ძალებთან, დასავლეთის წამყვან პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია და კოორდინებული მოქმედება თავისუფლების იდეალების გამარჯვების საწინდარია;

7. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უარყოფს ძალადობას და იბრძვის მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით;

8. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ ემსახურება რომელიმე ცალკე კლასსა თუ ჯგუფს, ის მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვისათვის იბრძვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ზეკლასობრივი პარტიაა;

9. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ევროპული ტიპის პარლამენტური პარტიაა, მაგრამ ანექსიის პირობებში პარტია უარს ამბობს ოფიციალურ ხელისუფლებაზე და იბრძვის დემოკრატიული, არაოფიციალური სტრუქტურების დასამკვიდრებლად;

10. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სცნობს საკუთრების ყველა ფორმას, ამასთან, კერძო საკუთრებას მიიჩნევს წმიდათაწმიდად, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის შემდგომი პროგრესი.

ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და ბაზრის ინტერესების გათვალისწინება არის ჯანსაღი ეკონომიკის საწინდარი;

11. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია დამოუკიდებლობის „ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეტაპებად“ დაყოფისა, რადგან დამოუკიდებლობა გულისხმობს სახელმწიფოებრიობას, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ერთიანობას. ამასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საოკუპაციო ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანამდე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია რუსეთთან ნებისმიერი სახის პოლიტიკური ხელშეკრულების დადებისა;

12. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის პოლიტიკური და სამართლებრივი მემკვიდრე საუკუნის დასაწყისში არსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

---

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს

ზ. გაგნიძის წერილთან დაკავშირებით „თავისუფლებას ვუფრთხით?“ საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განმარტება: ქართველმა ხალხმა მართლაც აირჩია იმპერიისაგან განთავისუფლების ეკლიანი გზა. მე ინტერვიუში ლაპარაკი მაქვს სხვა თავისუფლებაზე: ამომრჩევლის პირად თავისუფლებაზე, რომ მოახდინოს იმ გზის არჩევანი, რომლითაც ჩვენი დღევანდელი ბრძოლა უნდა წარვმართოთ. თუ კონკრეტულ ამომრჩეველს აქვს საკუთარი აზრი, როგორი უნდა იყოს ეს გზა, იგი პრეზიდენტობის კანდიდატს ვერ აპატიებს ისეთი უპასუხო კითხვების არსებობას, როგორიცაა: „რატომ გამოიყვანეთ მილიცია ცხინვალიდან?“, „რატომ დაუკანონეთ იმპერიის შინაგან ჯარებს ცხინვალის რეგიონში მოქმედების უფლება?“, „რატომ არ მიიღეთ აქამდე არც ერთი ეკონომიკური კანონი?“ და ა. შ. აგრეთვე მოსთხოვს პასუხს ძნელი კითხვებისათვის, როგორიცაა „რატომ არ შევქმენით აქამდე არმია?“. თუ ამომრჩეველი ამგვარი კითხვების პასუხს არ მოითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ნდობა კანდიდატისადმი უკრიტიკოა (ანუ, რაც იგივეა, ბრმა ნდობაა).

„დიდი მასშტაბის ბრძოლების მოგებაზე“ რომ ვლაპარაკობთ, მე ვგულისხმობ მოგებას იმასთან, ვინც საქართველოს თავისუფლებას, მის საზღვრებს და მის ძლიერებას ემუქრება. დამისახელოს ავტორმა ასეთი გამარჯვება, და სიამოვნებით ვღიარებ! დღეს ჩვენ გამარჯვებულნი არ ვართ. ჩვენ მხოლოდ ბრძოლის გზაზე შემდგარნი ვართ და ჩემი შენიშვნებიც მხოლოდ იმას ეხება, რომ ამ ბრძოლაში მეტი სიმტკიცე და მეტი სიბრძნე გვმართებს! რაც შეეხება „უკანონო ავტონომიის გაუქმებას, ზ. გაგნიძე ტყუილად მიგონებს მე, თითქოს ამ აქციის მომხრე არ ვარ ან ოდესმე არ ვყოფილვარ (პირიქით!).

ავტორი ცილს სწამებს ყველას, ზ. გამსახურდიასა და ჩემთვის სათაყვანებელ მ. კოსტავას გარდა, როცა აცხადებს, რომ ყველა სხვანი „მონები“ იყვნენ. „მონები“ მან მხოლოდ იმათ შორის მოიკითხოს, ვისაც კალამი გაუმრუდებია. ზოგ-ზოგთა თბილი მოხსენიებით ან იმ ზოგ-ზოგთათვის ისეთი სამსახური გაუწევია. რაც მის პროფესიული, პატიოსანი შრომის ფარგლებს სცილდებოდა! მოქალაქეობრივი და ეროვნული გამბედაობა იმ დროს, მართალია, ცოტას გამოუჩენია. ყველაზე მეტად ვის გამოუჩენია, ამაზე ჩემს ინტერვიუში ნათლად ვლაპარაკობ. და ჩემი სიტყვებიც, რომ თუ ვინმეს წინაშე პასუხისმგებელნი ვართ, მხოლოდ იმათი აჩრდილების წინაშე ვართ (ყველანი), ცხადია, ძალაში რჩება!

ავტორი წერს (რატომღაც ჩემს სასაყვედუროდ), რომ ქართველი ახალგაზრდები დღეს გვარდიაში ხალისით მიდიან. რატომ სინდისი არ უკარნახებს, აქვე ისიც თქვას, რომ მეც სწორედ ამას ვწერ: დღეს ქართული შეიარაღებული ძალები მოხალისეობის პრინციპს უნდა დაეფუძნოს-მეთქი.

უნდა გამოვტყდე მკითხველთან — მეტისმეტ ერთფეროვნებად მიმაჩნია, ყოვლისმკადრებელი გაზეთი რომ თითქმის ყოველ ნომერში თითო ცილისწამებას ათავსებს ჩემი მისამართით. ყველაზე პასუხი ტექნიკურადაც კი ძნელია. ვუპასუხებ ერთი ძველი ანეკდოტით და ჰუქუმათი-შეგონებით („ვისრამიანის“ ენით რომ ვთქვათ). ანეკდოტს დიალოგის ფორმა აქვს:

„—გთხოვთ, სამსახურში მიმიღოთ.

— ჯერ კადრების განყოფილებას უნდა ვკითხოთ.

— ყველაფერს ვიკადრებ, ბატონო!“

შეგონება ამგვარია: როდესაც რომელიმე ქვეყნის პარლამენტი თავისი ბეჭდვითი ორგანოს რედაქციას აკომპლექტებს, უმჯობესია, ჟურნალისტის ნიჭსა და უნარზე აილოს ორიენტაცია და არა ნებისმიერი ცილისწამების გამოქვეყნებისთვის მზაობაზე.

**ნოდარ ნათაძე**

ამ ვიწრო წუთისოფელში ბევრჯერ ვყოფილვარ შავ დღეში, დიდი ვაება და ბევრი დავიდარაბა გადამხდომია თავს, მაგრამ ამ ბოლო დროს რომ სიმწრის ოფლი ვღვარე, მსგავსი არაფერი მაგონდება.. არადა, ჩემი საკუთარი ნებით გავყავი თავი ყულფში. ვინ მეკითხებოდა სხვათა განკითხვას, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და ისეთი წიგნების კითხვა დავიწყე, რომ ალბათ დედამიწის ზურგზე ჩემს გარდა, არათუ წაკითხული, ნანახიც არ ექნება კაცისშვილს. მაინც რა ეშმაკი შემიჩნდა ასეთი, რომ ქვეყნად მრავალი ფილოსოფოსი, მწერალი, მეცნიერია, რომელთა ნააზრევის გაცნობა სულს ამაღლებს, და მე კი, პროფ. ე. ქვათაძის ნაშრომების კითხვა-თვალიერება დავიწყე. ცხადია, ეს არც შემთხვევითობის ბრალია და არც უსაქმურობისა. ჩემი ბედუკუღმართობის მიზეზი კი ძირითადად ის არის, რომ ეს პიროვნება მარქსიზმის საფუძვლების მკვლევართა ტიპურ განსახიერებად მეჩვენებოდა. ამავე დროს, თავად მასაც ასე სწამს, რომ თავისი მოწიფული გონებით ავსებს მარქსისტული ფილოსოფიისა და ჩვენი სოციალისტური ცხოვრების ხარვეზებს.

დაბოლოს, რადგან ღრმად მწამს, რომ ის გახლავთ იშვიათი, მაგრამ ტიპური წარმომადგენელი იმ რეტროგრად მოაზროვნეთა, რომელიც ჩვენს სინამდვილეში სამოცდაათი წლის ბნელეთმა შექმნა, გადავწყვიტე ყური არ მომეგდო გულის წადილისათვის და უსიამოვნო საქმისთვის მომეკიდა ხელი, ანუ ე. ქვათაძის ღრმადმეცნიერულ ნაშრომებში ჩამეკრა თვალი.

ისიც კარგად მესმის, რომ ამ წარმავალ წუთისოფელში მარადიული არაფერია — ჭეშმარიტების გარდა! ისიც ვიცი, რომ პრობლემები დროთა განმავლობაში ხუნდება და აქტუალობას კარგავს. ისიც მჯერა, რომ მეცნიერული თვალსაზრისები ვერ უძლებს ჟამთასრბოლას, „ხუნდება" უფერულდება და ღირებულებას კარგავს. მაგრამ იმას, რასაც არასდროს არ ჰქონია ობიექტური ღირებულება, რა დაამდაბლებს და რა წაახდენს?! განსაკუთრებით კი იმ ბრძენთა თვალში, რომელთაც მხოლოდ უვიცობის და სიბნელის გამო ჭეშმარიტების განმსაზღვრელ ქურუმებად მოაქვთ თავი.

ახლა, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი, იმ საკითხებს, რომელთა კვლევას მთელი თავისი ხანგრძლივი და შეგნებული ცხოვრება შეალია ე. ქვათაძემ, მეცნიერებისათვის არავითარი ობიექტური ღირებულება არ ჰქონია. ეს იყო დროის, პოლიტიკური სიტუაციის ლაქიობა და ამ ლაქიობით მან მოიპოვა მეცნიერული ხარისხები და რეგალიები. ხოლო, როგორც კი ამ გზით პროფესორობას მიაღწია, თავი ბრძნად წარმოიდგინა და სხვათა მეცნიერული დონისა და ხარისხის გამკითხაობაც მოიწადინა.

მაინც ამასთან რა პრობლემებს იკვლევდა ეს კაცი? დაინტერესდება მკითხველი. რამდენიმე სიტყვით მისი კვლევის სფერო ასე შეიძლება განისაზღვროს: „საკოლმეურნეო სოფელში კომუნიზმის მშენებლობა". თუმცა, სჯობს თავად მას მივცეთ სიტყვა: „სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და საბჭოთა სოფლის კომუნისტურ-საზოგადოებრივ ურთიერთობაზე გადასვლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო სოფელში კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკის შესწავლას და მის თეორიულ განზოგადოებას, აგრეთვე სოციალისტური სოფლის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერული თვალსაზრისით გამოკვლევას" (წითელწყარო. თბ. 1969 წ. გვ.3).

აი, ამ საკითხების შესწავლას მიუძღვნა მკვლევარმა თავისი შრომები, რომელთა სათაურების ხსენებაც საკმარისია, რათა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ მასზე: 1. საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ. 1967; 2. წითელწყარო, თბ. 1969; 3. ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის ისტორია, თბ. 1981 (ამ წიგნს თანაავტორიც ჰყავს.); 4. ლაითურის ს. მ. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ისტორია, თბ. 1983; 5. ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ისტორია, თბ. 1986 და სხვ.

მაშ ასე, მეცნიერის კეთილშობილური მიზანი გარკვეულია. მას სურს სხვადასხვა მეურნეობის თუ ტექნიკუმების, საწარმოო გაერთიანების, დაბოლოს, სოფლის კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების შესწავლით გვაჩვენოს კომუნიზმის გამარჯვების ნათელი იდეა. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერი მოწოდებულია შეისწავლოს სოციალისტური სოფელი და თავისი ღრმა ანალიზითა და შორსმიმავალი დასკვნებით დაეხმაროს მას პრაქტიკულად განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობა. მთავარი მაინც ის არის, რომ მისი შრომები პრაქტიკულ ღირებულებას იძენენ. ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის? თუკი ისეთი შრომა გამოქვეყნდება, რომელიც ოდნავ მაინც წაადგება ჩვენი სოფლის დუხჭირ ცხოვრებას, კი არ უნდა ვაკრიტიკოთ ის, არამედ სანთელი დავუნთოთ სადიდებლად.

მაგრამ რომ ვერ წაადგა! სოფელი რომ ვერ აშენდა! აშენდა კი არადა, დაიქცა, გაოხრდა და განადგურდა! ენა ვერ აღწერს იმ სიდუხჭირეს, რაც დღეს სოფლად და ქალაქად მძვინვარებს. განა ყველამ არ ვიცოდით, რომ ყეფით და ყივილით სოფელი არ აშენდებოდა! ვიცოდით, მაგრამ თავს ვიტყუებდით, კომუნიზმის აბსურდულ იდეას ვებღაუჭებოდით, ისეთ ახლობელ და რეალურ ცნებად ვსახავდით, რომ დღეს თუ არა ხვალ კარზე მოგვადგებოდა, დაგვიკაკუნებდა და, თუ კარს ნებით არ გავუღებდით, ძალით შემოგვიმტვრევდა. გვეგონა, კომუნისტური ლოზუნგების ძახილით „საკოლმეურნეო სოფელს" ავაშენებდით!

მოდა გვიშენებდნენ შეთითხნილ, ზღაპრებშიც გაუგონარ ხუხულას, რომელიც ქარის სვეტებზე იდგა და ქანაობდა, ხან აქეთ ირწეოდა, ხან იქით, ბოლოს კი ისე დაემხო, ველარაფერი აღაშენებს. მკითხველმა ისე არ იფიქროს, თითქოს ე. ქვათაძეს იმას ვსაყვედურობდეთ, თუ რატომ არ ააშენა სოციალისტური სოფელი.. კომუნიზმი მისმა ბროშურებმა კი არა, მარქსის, ენგელსის, ლენინის კაპიტალურმა შრომებმა ვერ ააშენა (ანდა როგორ აშენდებოდა ყეფითა და ყივილით.) არა, მეგობრებო, ისეთი გულუბრყვილო არ გახლავართ, მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ის მთელი თავისი სიცოცხლე ქარის წისქვილებს ებრძოდა და თავისი „მაღალნიჭიერება" ქოხატყუილობაში გახარჯა. თავის თავსაც იტყუებდა და სხვებსაც ატყუებდა. მაგრამ ერთი კია, თითონ ხარისხებს იღებდა და ხელსაც ითბობდა, ხოლო საწყალ მკითხველს კი (რა თქმა უნდა, თუ კი ასეთი ჰყავს მის წიგნებს) საგონებელში აგდებდა თავისი „თეორიულ განზოგადოებით", რომელიც ქვის ხანის ნააზრევს უფრო ჰგავს, ვიდრე XX საუკუნისას.

ახლა თავი დავანებოთ იმის განქიქებას, თუ რას იკვლევს მეცნიერი. ბოლოს და ბოლოს, ყველას აქვს უფლება შეისწავლოს ის, რაც მას აინტერესებს. უსაქმური კაცი მაზათს რომ იყრის, ისიც მისი პირადი საქმეა. ისიც უნდა გავსხოვდეს, რომ ყოველგვარი უმნიშვნელო საკითხის გამოკვლევას, თუ ის ჭეშმარიტ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, აქვს გარკვეული გამართლება. მით უმეტეს, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, თუ კაცი ქართული სოფლის ცხოვრებას, მის ჭირვარამს იკვლევს, რა გვაქვს ცხვირასაბზუებელი და სავაივიში. ასე რომ, საგანგაშო ის კი არ არის, რას იკვლევს, არამედ როგორ და რა დონეზეა გამოკვლეული. აი, ამ კუთხით თუ შევხედავთ ე. ქვათაძის შრომებს, ბევრ რამეს ძალზე საინტერესო და განსაცვიფრებელს აღმოვაჩენთ.

მკითხველს წინასწარ ბოდიში უნდა მოვუხადო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მრავალი ციტატის მოხმობა მომიხდება, მეორეც, იმიტომ, რომ ამ უაზრო ციტატების კითხვით უნდა შევაწუხო და, მესამეც, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში ამ ნალაყბევით უნდა გადავტვირთო, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვახერხებ დიდი მარქსისტის ე. ქვათაძის ფილოსოფიური ნააზრევის სრულად წარმოჩენას.

მეცნიერის მეცნიერული განსჯის გასაცხადებლად მისი ნებისმიერი ნაშრომი გამოდგება. მე კი თავი რომ არ შევაწყინოთ მხოლოდ ერთი ნაშრომის განხილვით დავკმაყოფილდები. ამას იმითაც ვამართლებ, რომ მისი შრომები ისე ტყუპისცალივით ჰგავს ურთიერთს, რომ ერთმანეთისაგან გადაწერილი გეგონებათ. არის კიდეც! მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ე. ქვათაძის შრომები გადაპენტილია ყალბი და არაფრისმთქმელი ფრაზებით, რომლებიც ღიმილის მომგვრელია ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის. ასე, მაგალითად: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აგრარული რეფორმის რევოლუციური გზით განხორციელებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მემამულურ საკუთრებას. შეარყია კულაკური მიწათმფლობელობა და ნიადაგი მოუმზადა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნას" (წითელწყარო. გვ. 11) ანდა „კომუნისტურმა პარტიამ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით წარმართა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და გლეხობის კოლექტიურ შრომაში ჩაბმის ამოცანის განხორციელება (იქვე გვ. 12) და სხვა მრავალი. ამგვარი შემართებით და განწყობით არის დაწერილი მისი ნაშრომები. მსგავსი პლაკატური განცხადებები ყოველ ნაბიჯზე ამშვენებენ მეცნიერულ შრომებს.

მაგრამ კომპარტიის ბრძნული პოლიტიკის განხორციელება რომ დაამტკიცოს მეცნიერმა, ამისათვის მას სჭირდება საკუთარი თვალით აღიქვას და შეისწავლოს სოციალისტური სოფელი, მისი წარსული და აწმყო. პროფესორი ხშირად მიმართავს ისტორიულ მოვლენების, სხვადასხვა სოციალისტური წყობის შეპირისპირებას, რათა ნათლად წარმოაჩინოს სოციალისტური სისტემის უპირატესობა და კომუნიზმის ნათელი იდეის პერსპექტივა. ასე, მაგალითად, მევენახეობის შესახებ ის წერს: „ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში მევენახეობის განვითარების საქმეში უარყოფითი გავლენა იქონია ევროპიდან (უფრო ზუსტი განსაზღვრა იქნებოდა, ავტორს რომ დაეწერა კაპიტალისტური ევროპიდან — გ. წ.) შემოტანილმა ვაზის ავადმყოფობამ ჭრაქმა და ნაცარმა, შემდგომ კი ფილოქსერამ, რამაც თითქმის დაღუპვის პირამდე მიიყვანა საქართველოს მევენახეობა...

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ საქართველოში სერიოზული მუშაობა წარიმართა ვაზის დაავადების სალიკვიდაციოთ". (გვ. 48) ანდა როგორ გააჯანსაღა და ააყვავილა ქართული ვაზი და მისი კეთილშობილური ნაყოფი სოციალიზმმა, დღეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ამის გამო მოდით ნუ ვუსაყვედურებთ ე. ქვათაძეს, რადგანაც ასეთი სტერეოტიპული აზროვნება ბატონობდა მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში. ორი ქვეყანა, ორი სისტემა უნდა დაპირისპირებოდა ურთიერთს, ცაც რომ ჩამოქცეულიყო, ჩვენ სოციალისტურ ბანაკს უნდა გაემარჯვა. ამ შეჯიბრმა ისე გაგვიტაცა, რომ მთელი სერიოზულობით ვამტკიცებდით: საბჭოთა მგელი სჯობს ამერიკელ მგელს — სისწრაფით, მოქნილობით და კბენის უნარით. მოდა, რა გასაკვირია მარქსისტულ შრომებში წარსულისა და აწმყოს ამგვარი დაპირისპირება და ამ დაპირისპირების ფონზე სოციალისტური სისტემის უპირატესობის ჩვენება რომ იყოს.

ჩვენი მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, ის შედარებისას მხოლოდ რევოლუციამდელ სოფელს არ იღებს, ხანდახან ომის დროინდელ მძიმე დუხჭირ ჟამსაც მიმართავს და, მეორეც, მან იცის ყველაზე უტყუარი მეთოდი სოციალისტური სოფლის სიდიადის საჩვენებლად. არის სტატისტიკა და ის ჭარბად მიმართავს სტატისტიკურ მონაცემების შედარებას. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის მოაქვს ცხრილები, სქემები და სხვ. ახლა ვერას გეტყვით რამდენად ობიექტურად გადმოწერა ეს მონაცემები ე. ქვათაძემ, მაგრამ თავად ეს მონაცემები — კოლმეურნეობის მიერ შედგენილი, თავის დროზე რომ გაბერილი იყო, მგონი ამაში დღეს არავის ეპარება ეჭვი.

ერთი სიტყვით, ე. ქვათაძე მთელ თავის ენერგიას იმისთვის ხარჯავს, რომ გვაჩვენოს, როგორ იზრდება დღითიდღე ჩვენი საკოლმეურნეო დოვლათი. ამისათვის ის არ იშურებს შთამბეჭდავი მონაცემების მოძიებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგიდან. ასე, მაგალითად, მეცნიერის საარქივო მასალების მიხედვით, „1946 წელს საშუალოდ თითოეულ დედა ღორზე გამოზრდილი იქნა 3 გოჭი, 1948 წელს — 5 გოჭი და 1950 — 5 გოჭი". ხოლო 1958 წელს კი უკვე „რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ დედა ღორზე გამოზარდეს 12 გოჭი, რაც 4-ჯერ მეტია 1946 წელთან შედარებით და 2,5-ჯერ მეტი 1946-50 წლებთან შედარებით" (გვ. 72-73) როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია. მაგრამ ე. ქვათაძე ის მეცნიერი როდია, რომელიც მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების მოტანით დაკმაყოფილდეს. ის საკუთარი დაკვირვებით აანალიზებს ამ წარმატების მიზეზს და წვრილ-წვრილად მოგვითხრობს ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველგვარი წარმატების სულის ჩამდგმელია კომუნისტური პარტია, რომლის 1953 წლის სექტემბრისა და 1955 წლის იანვრის პლენუმებმა „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჩვენ ქვეყანაში მეცხოველეობის განვითარების საქმეს" (გვ. 60) კომუნისტების ხელშეწყობით მრავალი პროგრესული მეთოდი დაინერგა „განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობის გაუმჯობესებას. იგი წარიმართა, ერთი მხრივ, ადგილობრივი ჯიშის დედა პირუტყვთან ჯიშური მწარმოებლების (!) შეჯვარებისა და,- მეორე მხრივ, დედა პირუტყვის დათესვლის პროგრესული მეთოდის გამოყენების გზით. აგრეთვე, ფართოდ დაინერგა დედა პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე გადაყვანის პროგრესული წესი, რომელმაც გავლენა იქონია წველადობის გადიდებაზე. კარგი შედეგი გამოიღო ხბოების ძიძა ძროხებით გამოზრდის მეთოდმა (გვ. 158) უფრო სასურველი შედეგი გამოუღია ხბოების კამეჩის რძით გამოკვების მეთოდს. ე. ქვათაძის დაკვირვებით „საფურე ხბოები თავიდანვე ადვილად შეეჩვივნენ კამეჩის რძის მიღებას და ხასიათდებოდნენ სწრაფი ზრდა-განვითარებით." (158)

მართლაც, სად იყო თავის დროზე ძიძა და ზედ კამეჩის რძე და მაწონი, თორემ ამგვარი სისულელეების წერისათვის უნდა მოიცალოს ფილოსოფიის მკვლევარმა?!

# წითელი პროფესორი

**გუგა წერეთელ**

ახლა თავი შევიკავოთ კომენტარისგან და ისევ ნაშრომს მივადევნოთ თვალი. უფრო საინტერესო არის მეღორეობის ანალიტიკური ანალიზი. ამ უბანში დიდი წარმატებაა, რადგანაც წითელწყაროელმა მეღორეებმა კრასნოდარელი მეღორეების გამოცდილება გაითვალისწინეს. „კრასნოდარელთა მსგავსად — წერს მეცნიერი — რაიონის კოლმეურნეობებმა ააშენეს მსუბუქი ტიპის საღორეები, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სისუფთავის დაცვას და ღორების გასუქების დაჩქარებას. საღორეებთან მოწყობილ იქნა ცემენტით გალესილი მოედნები... კარგი შედეგი გამოიღო აგრეთვე ღორების კვებამ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რაც პირველად ჯაჯფარიძის კოლმეურნეობაში დაინერგა... რაიონის მეღორეობის ფერმებში ფართოდ დაინერგა ერთჯერადი ნეზვის გამოყენების პროგრესული მეთოდი, რომლის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მისგან მხოლოდ ერთი ბუდობის გოჭებს ღებულობენ, შემდეგ კი ნეზვს ასუქებენ და გაჰყავთ მეურნეობიდან. საშუალოდ თითოეულ დედა ღორს გვერდით 3-ზე მეტი ერთჯერადი ნეზვი ჰყავს, რომლებსაც ძირითადად გაზაფხულზე მიღებული გოჭებიდან არჩევენ და დიდი ყურადღებით ეკიდებიან მათ გამოზრდას..." (გვ. 160).

ეჭვით შეპყრობილმა მკითხველმა შეიძლება არ დაუჯეროს პროფესორის ამ ღრმა ანალიტიკურ აზროვნებას. ეს ეჭვი უფრო გვიპყრობს, როცა ჩვენს დღევანდელი მეცხოველეობის სავალალო მდგომარეობას გვახსენებს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, როცა ეს წიგნი იწერებოდა სოციალიზმის მშენებლობის გაშლილი პერიოდი იყო და რა გასაკვირია, რომ ადამიანების გვერდი-გვერდ ნეტარებით ცხოვრობდნენ ღორებიც. ანდა, რა ჰქონდათ სასაყვედურო! მსუბუქი კოპწია აგარაკის მსგავსი საღორეები, წინ მოასფალტებული მოედნით, სადაც ნებივრად გრძნობდნენ თავს დედა ღორები, ორზე მეტი ერთჯერადი ნეზვები რომ უმშვენებენ მხარს!... ერთი სიტყვით, უკეთესს რა ინატრებს ადამიანი, და მით უმეტეს — ღორი, მაგრამ, მართალი რომ გითხრათ, ნეტარ ხბოების და დედა ღორების სოციალისტურ წყობაში ბედნიერ ცხოვრებაზე, მეტად მე მანცვიფრებს ე. ქვათაძის დაკვირვების უნარი, ლაკონურად მოთხრობის ნიჭი და, რაც მთავარია, აზროვნების სიღრმე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ყოველივე ღვთით აქვს მიმადლებული და ახლა, თუ გინდათ, გასკდით გულზე!

ე. ქვათაძის მარქსისტული ფილოსოფიური აზროვნებით ნასაზრდოები ნაშრომები კიდევ მრავალ ღრმა ფილოსოფიურ პრობლემას აღძრავს. მკვლევარი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წვრილ-წვრილად მოგვითხრობს, თუ სამამულო ომის პერიოდში, ვინ რა თანხის სახელმწიფო სესხის ობლიგაცია შეიძინა, რამდენი ქალი და რამდენი

მამრი მუშაობდა ამ დროს მინდ
მას არ ავიწყდება გვაუწყოს
ენ გრამიანი წარმოადგე
(მისი სიტყვაა) „რაიონულ" გამ
ნაზე, ან რამდენ ლიტრა რძეს
ლიდა ერთი საფურე ძროხა, რ
რი იყო ჯოგის შემადგენლობაში
დაპირუტყვის და პროდუქტ
პირუტყვის ხვედრითი წონა, რა
ნი ქათამი გამოზარდეს „მამა-პაპ
უესის" მიხედვით და რამდენი
კუბატორით. ასევე აღნუსხავს,
დენი ტრაქტორი, მანქანა, გუ
და, რაც მთავარია, რამდენი სის
ლებიანი და რამდენი რკინაშემოკ
ბულთვლებიანი ურემი ჰქონ
კოლმეურნეებს. მეცნიერი არ
წყებს აგრეთვე მოგვცეს ანა
„საკოლმეურნეო კადრების სარ
სობრივი შემადგენლობისა",
გადების და რგოლების სტრუქტ
ული სისტემისა, სოციალისტ
შეჯიბრების არსისა, მასობრივი
რაფით პლაკატის გამოცემის
შვნელობისა და სხვა მრავალი.
ე. ქვათაძე ამ „დიდმნიშვნელ
ნი" მშრალი გადმოცემით როდი
ყოფილდება. ის მსჯელობს
როგორც ეს საერთოდ ახასიათ
სერიოზულ მეცნიერებს, იმოწ
„სამეცნიერო" ლიტერატურას,
თა თავის ნაშრომს ფუნდამენ
რი მონოგრაფიის იერი მიანიჭოს
არ ერიდება ბრძნული აზრების
ტირებასაც. ასე, მაგალითად, 1
წლის წითელწყაროს რაიონის პა
იულ კონფერენციაზე სოფელ საბ
ლოს კოლმეურნეობის თავმჯდომ
ეს ე. დავითიანს უთქვამს: „კოლ
ურნეობის პირუტყვის სადგ
ბინები მოგვაგონებს პირვ
ყოფილ მიწურებს, რაც სრუ
ად შეუფერებელია სოციალ
ტური მეცხოველეობისათვის
მართალია მის ნაშრომებში იშვია
ციტირებანი, მაგრამ როგორ გეე
ცთუნებისათვის მეცნიერს, ამგვ
ბრძნული აზრი არ მოეხმო მისი
ევე ბრძნული აზრის გასამაგრებ
არ მინდა მკითხველს ისეთი შთ
ჭდილება დარჩეს, თითქოს მარ
სტი მხოლოდ ფაქტებს გადმოგვ
და სხვათა აზრებს იმოწმებს.
გამოაქვს თავისი საკუთარი, ორ
ნალური და ფუნდამენტური
კვნებიც, გავიხსენოთ თუნდაც
წერს ის სოციალისტური შეჯიბრ
შესახებ: „იგი გადაიქცა
ქვეყნის სხვადასხვა ეროვნებებ
ხთა დაახლოების, მათ შორის მე
ბრობის განმტკიცების, მეცნიერ
და მოწინავე გამოცდილების
ფლო-სამეურნეო წარმოებაში დ
რგვის მძლავრ საშუალებ
(გვ. 38).
მიმინოს ხედვა უნდა ჰქონ
კაცს, ასეთ სიღრმეებს რომ ჩაწ
და დაინახოს. ახლა რა ზეშთაგონ
საჭირო, რა აზროვნების უნარი
რა ნიჭიერება ასეთი ღრმა ფილ
ფიური დასკვნის გამოსატანად.
ას იმიტომ მოგახსენებთ, რომ
თხველმა კიდევ ერთხელ წაიკით
ეს დასკვნა, რომ მისმა სიღრმემ
დაგაბნიოთ, ზერელობის შთაბე
ლება არ იქონიოს თქვენზე.
უაღრესად საინტერესოა მარქს
ფილოსოფოსის საკუთარი დასკვ
ჩვენი სოფლის ამა თუ იმ საჭირ
როტო საკითხზე. მერმე მისი გა
ლიზება. სამწუხაროა, რომ მისი
ძიებანი დღემდე რატომღაც არ
უმჩნევიათ: „სერიოზული ღონისძ
ბები ხორციელდებოდა მეურნე
ში სამუშაოდ მუშათა კვალიფიცი
კადრების მოსაზიდავად. პირველ
ნებში მუშათა კადრების შევს
ძირითადი წყარო იყო მახარაძის
იონის სოფლის მოსახლეობა, მა
შემდგომში ამ მხრივ მუშაობა მ
თრად გაფართოვდა. საჭირო შე
საქართველოს სხვა რეგიონებიდა
შემოეზიდათ მუშები... მუშათა კ
რების კვების პროდუქტებით მო
რაგების საქმის გაუმჯობესებისათ
მეურნეობაში შეიქმნა დამხმარე
ურნეობა 20 ჰექტარ ფართობზე.
ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა
მოცდილი მებოსტნე ალექსან
არველაძე, რომელიც წარმოშობ
სამტრედიიდან იყო, მაგრამ
ბოსტნეობის საქმეს ეწეო
თბილისის ერთ-ერთ უბანში
ორთაჭალაში(?!). მისი ნაყოფ
მუშაობის შედეგად შესაძლებ
შეიქნა მუშა-მოსამსახურეების
მარაგება ისეთი ბოსტნეულებით,
გორიცაა: კიტრი, პამიდორი, ბად
ჯანი, კომბოსტო და სხვ. (ლასათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მ. კიროვის სახელობის სახ...მეურნეობა-ტექნიკუმის ისტ...თბ. 1983 წ. გვ. 19).

...ვან კიდევ მეცნიერი არანაკ...მნიშვნელოვან ფაქტს გვაუწყ... 1946 წელს ჩამოვიდა ლათი...სამუშაოდ ბევრი პირ-ვარამის...ანი, ᲜᲐᲤᲠᲝᲜᲢᲐᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘ-ᲜᲔᲚᲘ ... ᲥᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲜᲐ ᲞᲣᲮᲙᲝ, ...მაც თავის სამუდამო საცხ...ად ლათიური აირჩია. იგი ...ლია ფოსტალიონად მუშაობს ...თურელთა ოჯახებისათვის სი... და ბედნიერების მაუწყებ... ქალბატონ პოლინა პუხკოს ...ქალობაში ეჭვი არ მეპარება. ...რას აძლევს ფილოსოფოსს ამ...ფაქტების დამოწმება სხვათა ...თავან? აი, ეს კი ვერ და ვერ ...ა, მაგრამ ე. ქვათაძეს მთელი ...ება, როგორც მოსალოდნელი ...შინ მჟღავნდება, როცა საკუ...ორიგინალურ აზრებს გვთავაზ...ს გვაძლევს შრომითი საქმია... მიხედვით ადამიანთა კლასი...ას, რომლის მსგავსს, ღრმად ...რწმუნებული, ვერცერთ ფილო...ურ ტრაქტატში ვერ აღმოაჩენთ.

...ეც:

...თისა და რაჭა-ლეჩხუმის ყვე...ონში... სოფლის მეურნეობაში ...ბული ადამიანებიდან თავია...შრომითი საქმიანობის მიხედვ...ენი აზრით, გამოიყოფა შემ...ჯგუფები:

...ონებრივი შრომის ადამიანები.

# ...ვბნელი ფიქრები

...ფში შედის სასოფლო-სამეუ...წარმოების ის მუშაკები, რომ... ეწევიან მხოლოდ გონებრივ ...ას, კერძოდ, მმართველობის ...ი, სოფლის მეურნეობის სპე...ტები, აღრიცხვისა და საანგა...დარგის მუშაკები.

...ვალიფიციური შრომის ადამი... ეს ჯგუფი მოიცავს მექანიზა...ბს, ავტომძღოლებს, დურგლ...ედლებსა და ფიზიკური შრო...ა პროფესიის მქონე პირებს.

...ცნარეობაში დასაქმებული ...ანები. ამ ჯგუფში შედიან ის ...ანები, რომლებსაც მუდმივი სა... არა აქვთ და შრომით საქმი... ეწევიან ხელითა და ცოცხა...მწევი ძალის მეშვეობით მემც...ობის ყველა დარგში.

მეცხოველეობაში დასაქმებ...ადამიანები — იგი მოიცავს ...ებს, მწველავებს, მეხბორეებს, ...ეებს, მეფრინველეებსა და, ...ოდ, მეცხოველეობის ყველა ...ი ფიზიკურად მომუშავე პირ...ომლებსაც აქვთ მუდმივი სა...

მომსახურეების და საზოგადო... ქონების დაცვის მუშაკები. ...ფში შედიან მუდმივი სამუშაოს ... პირები, რომლებიც იცავენ ...დოებრივ ქონებას და საკო...ნეო მინდვრებს. კერძოდ, და..., მეველეები, აგრეთვე დამლა...ი და სხვა. (სკკპ აგრარული ...იკა და საქართველოს მთის ...ნების სოციალ-ეკონომიკური ...არების საკითხები (თბ, 1975, ...).

...ფასო მკითხველო, თუ ამ და... არ აღგაფრთოვანათ, მაშინ ...ვარ გამპრიახობას შემოგთავ... (მე შენ გეტყვი, გაგიპირდე...ო მოძიება ე. ქვათაძის ნაშრო...). ამ დაკვირვებას, როგორც ...ულესად დიდი მნიშვნელობა ...აქართველოს სოფლის მეურ... განვითარებისათვის და, სამ...ა, რომ დღემდე იგი შეუმჩნ... დარჩათ პროფესიონალებს, ... ჩვენი ეკონომიკური ცხოვრ... დუხჭირ დღეში არ ჩავარდე...ა, ისიც: „ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲬᲐᲠ...Ს ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ...ᲨᲘ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲔᲠᲗᲘ ... ᲡᲐᲗᲔᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐ...Ა ᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲐᲙᲔ... ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲦ...ᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ“. (გვ. 88) ალბათ ...ცნობიერო არსება, ან საზოგა...ახე მოიქცევა, თუ სურს მარ...ლის წარმოების გაზრდა. ის ...ებს სათეს ფართობსაც და ... მოსავლიანობაც აამაღლოს. ... სამწუხაროდ, ამ თითქოსდა ...ტარულ ჭეშმარიტებას, რო...ჩანს, ყველა ვერ ხვდება და ...ახწვდება. ამისათვის ქვათა...ი შორსმჭვრეტელობაა უცი...დ საჭირო. მეცნიერიც თა...ღმოჩენით აღფრთოვანებული ... საოცნებლო დაკვირვებას ...ჯაზის იმეორებს.

სხვათაშორის, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. ქვათაძის მეცნიერული აზროვნებისათვის გამეორება განუყოფელი ატრიბუტია. არ ვიცი — ვერ ელევა თავის ბრძნულ აზრებს, არ ვიცი — უფრო იოლია უკვე დაწერილის ხელმეორედ გადმოწერა, ფაქტი ერთია, იგი არ ერიდება ერთი და იგივე „აღმოჩენის“ სხვადასხვა ნაშრომებში გამეორებას. ზოგიერთი შურით შეპყრობილი პლაგიატს უწოდებს მას. მაგრამ ნურას უკაცრავად! ე. ქვათაძე თავის აზრებს იმეორებს და ვის რა ეკითხება. ეს უკვე მისი პირადი საქმეა, უნდა გაიმეორებს, უნდა არა! ოღონდ ეს კია, თავის შრომებში ისე ხშირად, თანაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს და აღწერს ადრე გამოთქმულ და გამოყენებულ თვალსაზრისებს თუ მოვლენებს, რომ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იგი თავის თავს ჰპარავს რაღაცას, ხოლო მისი წიგნებიც ოდნავ ფორმა და გარეშეცვლილი ერთი და იგივე ნაშრომია სხვადასხვა დროს გამოცემული. არ გჯერათ? ნება თქვენია, მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობ ქვემოთ, კომენტარი კი თავად თქვენთვის მომინდვია.

ციტატა № 1

სასოფლო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ინტენსიფიკაცია წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში მექანიზაციისა და ტექნიკის ფართო გამოყენების გარეშე შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მკვეთრი ზრდა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. (საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ.61).

ციტატა № 2

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას ძირითადად განაპირობებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში მექანიზაციისა და ტექნიკის ფართო გამოყენების გარეშე შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი ზრდა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. (წითელწყარო (ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა) თბ, 1969, გვ. 81).

ციტატა № 1

ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელებაში სოციალისტური შეჯიბრება მძლავრ ძალად გადაიქცევა და ამჟამადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიზმის მშენებლობისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში. (საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ. 1967, გვ. 105).

ციტატა № 2

ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელებაში სოციალისტური შეჯიბრება მძლავრ ძალად გადაიქცა და ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიზმის მშენებლობისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში. (წითელწყარო (ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა) თბ. 1969, გვ. 137).

ციტატა № 1

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა: აგრარულმა რეფორმამ, სამელიორაციო სამუშაოების სწრაფი ტემპით წარმართვამ და ახალი ფართობების ათვისებამ, მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარებამ და მცირემიწიანი სოფლებიდან შედარებით მეტი მიწის მქონე სოფლებში მოსახლეობის ჩამოსახლებამ, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოტანის გადიდებამ და მათი მომსახურების გაფართოებამ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაბალი ფორმის (გაყიდვა-გასაღება) ფართო ქსელმა და მასში გლეხთა დიდი ნაწილის ჩაბმამ, სოფლის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ღარიბი გლეხობისადმი ყოველმხრივმა მზარდმა ჰერამ აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სოფლის ცხოვრებაში. მომზადდა პირობები ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში თანდათანობით ჩაბმისათვის. (საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ. 1967, გვ. 31).

ციტატა № 2

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა: აგრარულმა რეფორმამ, მიწის ახალი ფართობების ათვისებამ, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოტანის გადიდებამ და გლეხური მეურნეობისადმი ტაქტიკური, აგრონომიული და ზოოტექნიკური მომსახურების სფეროს გაფართოებამ, გლეხურ მეურნეობათა სხვადასხვა საწარმოო გაერთიანებების შექმნამ და მათი მუშაობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ ნაყოფიერმა დახმარებამ, სოფლის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა თანდათანობით მოამზადეს ნიადაგი გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებისათვის. (წითელწყარო ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა). თბ. 1969, გვ. 15).

ციტატა № 1

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი გამარჯვებული გამოვიდა. განადგურებული იქნა ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია. საბჭოთა ხალხმა ადვილად როდი მიაღწია ამ გამარჯვებას. საშინელი ომი მძიმე და სასტიკი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მატერიალურმა ზარალმა, რომელიც მიიღო ომის შედეგად საბჭოთა ხალხმა, შეადგინა 2600 მილიარდი მანეთი. არც ერთ ქვეყანას, არც ერთ ომში არ განუცდია ასეთი ზარალი და ნგრევა; ომმა 10 წელზე მეტი ხნით შეაფერხა საბჭოთა ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ. (საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ. 1967, გვ. 43.).

ციტატა № 2

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი გამარჯვებული გამოვიდა, განადგურებული იქნა ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, მაგრამ საბჭოთა ხალხმა ადვილად როდი მიაღწია გამარჯვებას, სამამულო ომი მძიმე და სასტიკი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ომით გამოწვეული მატერიალური ზარალი შეადგენდა 2600 მილიარდ მანეთს. არც ერთ ქვეყანას, არც ერთ ომში არ განუცდია ისეთი ზარალი და ნგრევა. ომმა 10 წელზე მეტი ხნით შეაფერხა საბჭოთა ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ. (წითელწყარო (ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა) თბ., 1969, გვ. 23).

ციტატა № 3

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი გამარჯვებული გამოვიდა. განადგურებულ იქნა ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, მაგრამ ეს გამარჯვება ადვილად როდი იქნა მიღწეული. არც ერთ ქვეყანას არც ერთ ომში არ განუცდია ისეთი ნგრევა და ზარალი, რაც საბჭოთა ქვეყანამ განიცადა. მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 2600 მილიარდი მანეთი. ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. (ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის ისტორია( თანაავტორი ქ. საბახტარიშვილი) თბ., 1981, გვ. 64.).

ვფიქრობ, მაგალითების მოხმობა კმარა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერის „მონოგრაფიების“ თავიდან გადმოწერა მოგვიხდება. კი მაგრამ, რატომ სჩადის ბატონი პროფესორი ამას? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. სამწუხაროდ, დარწმუნებით ვერაფერს ვუპასუხებ, რადგან თავად საკმაოდ დამაბნია პროფესორის ამგვარმა მიდრეკილებამ. ვარაუდად შემიძლია მაინც ვთქვა, რომ, როგორც ჩანს, მარქსისტს ეზარება ფიქრი და მსჯელობა და თავის ატკივება და გარჯას ურჩევნია, უკვე დაწერილის გადმოწერა. ეს უფრო იოლია და ეხერხება კიდეც. მეორეც, მას ალბათ ამის იმედიც ჰქონდა, რომ მის წიგნებს არავინ წაიკითხავდა და მით უმეტეს მათი შედეგისათვის არავის მოიცლიდა. მესამეც, თუკი ასეთი რამ მოხდებოდა კიდეც, პლაგიატად მაინც ვერ მონათლავდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ის თავის თავს „ძარცვავს“ და არა სხვებს. თუმცა, ამ მხრივ ეს ნაშრომები არავის შეუსწავლია, მაგრამ პირადად მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რადგანაც დედამიწის ზურგზე არ მეგულება სხვა ნაშრომი, რომელიც ისეთ მსგავს სისულელეებს მოგვითხრობდეს, ქვათაძის ნააზრევი რომ შეიცავს.

მართალია, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ კიდევ ერთი ვრცელი ციტატა უნდა მოვიხმო, რათა უფრო ნათლად აღიქვას მკითხველმა, თუ რა სერიოზულ პრობლემებზე მსჯელობს ენერგიული მარქსისტი, აი, ისიც: „კომუნის საბჭო კომუნის წევრთა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში დიდ სიფრთხილეს იჩენდა, მტკიცედ იცავდა კომუნის წესდებიდან გამომდინარე თანასწორობის პრინციპს და სასტიკად ებრძოდა ამ საქმეში ყოველგვარ უარყოფით გამოვლინებას.

ამ მხრივ აღსანიშნავია კომუნის წესდების შემდეგი მოთხოვნები: წესდება გამორიცხავდა კომუნის წევრთა შორის ქორწინებას, მოუწოდებდა ყველას, ეცხოვრათ დაძმურად. ვინც ამ წესს დაარღვევდა, სიკვდილით დაისჯებოდა. აგრეთვე, კომუნის წევრს კომუნის საბჭოს დადგენილების გარეშე გათხოვების ან ცოლის შერთვის უფლება არ ჰქონდა.

კომუნის არსებობის მანძილზე წესდების ამ მუხლის დარღვევის შემთხვევა მხოლოდ ერთხელ მოხდა. კომუნის წევრებს ალექსი ბექაურს და ნინო აფციაურს ერთმანეთი შეუყვარდათ, სიყვარული თანდათან გაღრმავდა და ცოლქმრულ ურთიერთობაში გადაიზარდა. მართალია, ისინი ამ ამბავს დიდხანს მალავდნენ, მაგრამ ბოლოს მთელ სოფელში გახმიანდა. ყველა —კომუნის მტერი თუ მოყვარე — შეეცადა, ეს ფაქტი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. კომუნის მტრები გაჰკიოდნენ: „აშკარად ამას აკეთებენ და ასმეტრიანი საბნის ქვეშ რომ დაწვებიან, მაშინ რა იქნება?!“

წესდების თანახმად, საბჭომ ა. ბექაურისა და ნ. აფციაურის საქმე განსახილველად კომუნის სასამართლოს გადასცა. ახალგაზრდების ბედმა აღელვა მთელი ზემო ქედისა და მეზობელი სოფლების — არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობა. კომუნის თავმჯდომარე კობა ჩოხელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მას არ უნდოდა დაერღვია კომუნის წესდება, ხოლო, მეორე მხრივ, დიდად ებრალებოდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ამიტომ კობა მოელაპარაკა მსაჯულებს: წესდების შესაბამისად, მე სასამართლოზე მოვითხოვ ამ ახალგაზრდების დახვრეტას, მაგრამ თქვენ არ დამეთანხმეთ და მოითხოვეთ დახვრეტის შეცვლა მათი სოფლიდან გაძევებით. მართლაც, კომუნის სასამართლომ ა. ბექაურს და ნ. აფციაურს დახვრეტა სოფლიდან გაძევებით შეუცვალა. ისინი კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს, ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომაში და სამშობლოს ხუთი შვილი აღუზარდეს.

კომუნის სასამართლოში ა. ბექაურისა და ნ. აფციაურის საქმის განხილვას დაესწრო ვაჟის ძმა ბაჩანა, რომელიც ამ დროს ქვემო ქედში მასწავლებლად მუშაობდა. ბაჩანა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის დასაცავად გამოვიდა სიტყვით და მიმართა სასამართლოს: „კაცმა რომ გულზე ხელი დადოს და თქვას, ამ მხრივ უცოდველი და მამა აბრამის ბატკანი არა მგონია აქ ვინმე იყოს. აი, მეც დავარღვიე ჩვენი ადათ-წესები, ჩარგალში წაწალთან ყოფნისას სული წავიწყმიდე, შევცდი და იქიდან ხალხის რისხვას გამოვექეცი. წაწალსაც თან ამოვიყვანე და აქ გადმოვიხვეწენით. იმ დალოცვილებსაც უცნაური ჩვეულება აქვთ ეს წაწლობა: გვერდში, ქალს მოგიწვენენ და თან გეუბნებიან, — ხელი არ ახლო ცუდი არაფერი ჩაიდო გულში. თქვენც ასე მოგსვლიათ, აღერებული გოგო-ბიჭი მთელი კვირით მინდორში გაგიგზავნიათ და ახლა უკიჟინებთ, რად დაარღვიეთ კომუნის კანონიო“.

ცხადია, ბაჩანამ სავსებით სწორად მიუთითა ამ საკითხზე როგორც მთის ადათ-წესის მავნე ხასიათზე, ისე კომუნის წესდების უსწორობაზე. საარქივო მასალები მკაფიოდ მიგვითითებს, რომ კომუნის წევრთა შორის დაძმური თანაცხოვრების წესების დარღვევის შემთხვევაში ასეთი მკაცრი სასჯელის ინიციატორი თვით კომუნის თავმჯდომარე კობა ჩოხელი იყო. მას მიაჩნდა, რომ კომუნის წესდებაში თუ გაითვალისწინებენ მკაცრ მოთხოვნებს, აღარ დაირღვეოდა კომუნის წევრთა შორის დაძმური დამოკიდებულება და კულაკებს აღარ მიეცემოდათ საშუალება გაევრცელებინათ ჭორები, კომუნის პირობებში ქალებსა და კაცებს შორის მოსალოდნელი დამოკიდებულების შესახებ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომუნის წევრი ვაჟის დაქორწინების დროს საბჭო მოითხოვდა ქალის სამედიცინო შემოწმებას, უამისოდ მათ დაქორწინების უფლება არ ჰქონდათ. ცხადია, ამ პირობების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო კომუნის წევრი ავადმყოფი ქალი კომუნის წევრი გამხდარიყო. კომუნის საბჭო ყოველგვარ ღონისძიებებს ახორციელებდა, რომ კომუნის წევრ ვაჟებს ცოლად არ შეერთოთ ავადმყოფი ქალები...

დადგენილი წესის თანახმად კომუნის საბჭოს სახელზე ქორწინების შესახებ განცხადებას მხოლოდ ვაჟები წერდნენ. თუ ვაჟი ითხოვდა ნებართვას კომუნის წევრ ქალთან დაქორწინებაზე, მაშინ კომუნის საბჭო ეკითხებოდა ქალს, ჰქონდა თუ არა ამის სურვილი. თუ ქალი თანახმა იყო, საბჭო აძლევდა ქორწინების უფლებას და მიღებული წესის თანახმად, „გასტუმრებისათვის“ — ე. ი. მზითვად, ატანდა 120 მანეთ ფულს, ორ ფუთ მატყლს. სხვა სოფლის ქალზე დაქორწინების შესახებ ვაჟის განცხადების შემთხვევაში კომუნის საბჭო ამოწმებდა სარძლოს ჯანმრთელობის მდგომარეობას და თუ ქალი ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, ვაჟს მასთან დაქორწინების უფლება ეძლეოდა“.

ამ ვრცელი და მეტად საინტერესო მსჯელობის შემდგომ კიდევ უფრო საინტერესოა მეცნიერის შორსმიმავალი დასკვნა, რომელმაც არ შეიძლება არ მოგხიბლოს კაცი:

„როგორც ვხედავთ, კომუნის საბჭო თავის მოღვაწეობაში ყურადღებას აქცევდა, სათანადოდ აწესრიგებდა წევრთა ყოფა-ცხოვრების საკითხებს. მისი წესდება მოიცავდა კომუნის წევრთა შორის სოციალურ-ეკონომიკური დამოკიდებულების თითქმის ყველა მხარეს. წესდების განუხრელი შესრულება კომუნის თვითეული წევრის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა, რამაც ნაყოფიერი გავლენა მოახდინა კომუნაში როგორც შრომის მწარმოებლურ ამაღლებაზე, ისე ყოფაცხოვრების სოციალისტური პრინციპების დანერგვაზე.

შრომის მაღალი დისციპლინის პირობებში ზემო ქედის კომუნამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. კომუნამ სულ ხუთი წელი იარსება, მართალია, ხუთი წელი მეტად მცირე პერიოდია ისტორიისათვის, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არსებითი ხასიათის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა ზემო ქედის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. სოფელი ზემო ქედი პოპულარული გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში“.

ასეთი ოპტიმალური შემართება ახასიათებს ე. ქვათაძის ნაშრომებს. მისი თავი კომუნიზმის ნათელი იდეით არის გაბრწყინებული და რა გასაკვირია, რომ მისთვის კომუნიზმის დიადი კარიბჭე ჯერ კიდევ ათეული წლების წინ გაიღო. ის წერდა: „სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დასაწყისი აუწყა საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას სკპ XXI რიგგარეშე ყრილობაში...“ (წითელწყარო, გვ. 195).

გვაუწყა, მართლაც გვაუწყა, მაგრამ ამ უწყებისგან, რომ არაფერი გამოვიდა, კომუნიზმი კი არა, სოციალიზმიც რომ აღარსად შემოგვრჩა, ხელდახელშუა გაგვისხლტა. მარქსისტი მეცნიერის ოპტიმისტური განწყობილება რომ ვიცი, კვლავაც ჯიუტად იმედოვნებს, რომ კომუნიზმის ცისარტყელა თუ არა, „აჩრდილი“ მაინც გადმოაბოტებს ჩვენს კურთხეულ მიწაზე. მე კი მას ასე დავულოცავ: მანამდე მის მტერს არ აუდგეს გვერდები და მასაც არაფერი ეტკინოს, სანამ კომუნიზმის აჩრდილი არ დაადგება თავს!

დასასრულს ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველს, რომ ასეთ დაძაბულ ჟამს, როცა ყოველ წამს დიდი ფასი აქვს, ამდენი დრო დავაკარგვინე, მაგრამ ე. ქვათაძე გამონაკლისი არ გახლავთ. ის და ძმანი მისნი, რომელთაც არანაკლებ აბსურდული ფიქრებითა და აზრით მოპოვებული სამეცნიერო ხარისხები, წოდებები თუ თანამდებობები, ამშვენებთ, დღესაც ულაყულობენ, თავს იწონებენ, სხვებს განიკითხავენ და პირდაპირ მოუწოდებენ ახლად არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, მიჰყვნენ სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაში მათ გაკვალულ გზას. ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ჩვენთაგანი ამგვარი წითელი პროფესორებისგან!!!

ამინ!

# ვის, ამ სამართალს!

## (პატივცემულ მკითხველებს)

### ვაქვეყნებ ორ დოკუმენტს. ჩემს განცხადებას სასამართლოში და მის პასუხს.

**განცხადება**

1991 წლის 21 მაისს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ზ. გამსახურდიას გამოსვლა „მიონში“, სადაც მან განაცხადა, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი (ხაზი ჩემია ნ. ნ.) კრემლის თამაშს თამაშობს და მათ ეს იციან (ხაზი ჩემია, ნ. ნ.).

ვინაიდან პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის მეც ვიყავი, ეს განცხადება მეც მეხება.

ზ. გამსახურდიას განცხადება ჩემთან მიმართებაში არის ცილისწამება.

გთხოვთ აღძრათ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით.

ზემოხსენებული გამოსვლის ტექსტი სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ტელერადიოკომიტეტიდან.

ნ. ნათაძე
27. V. 1991.

**პასუხი**

დადგენილება
ქ. თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრმა ი. ტყეშელაშვილმა, განვიხილე რა ბატონ ნოდარ ნათაძის განცხადება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ,

გამოვარკვიე:

როგორც განცხადების ავტორი აღნიშნავს, 1991 წლის 21 მაისს ქარხანა „მიონში“ გამოსვლისას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ „პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი კრემლის თამაშს თამაშობს და მათ ეს იციან“. აღნიშნული გადაიცა საქართველოს ტელევიზიით.

რამდენადაც პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის იყო ბატონი ნოდარ ნათაძეც, მას მიაჩნია, რომ ასეთი განცხადება მასაც ეხება და იგი არის ცილისმწამებლური, ამიტომ მოითხოვს ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ საქმის აღძვრას საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით.

განცხადება არ წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს და არ არსებობს საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, ცილისწამება არის შეგნებულად მონაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. გავრცელებული ცნობა უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას საზოგადოების თვალში. „კრემლის თამაშის თამაში“ თავისთავად არ ჩაითვლება სახელის გამტეხ ქმედებათ. ამიტომ ამ გამოთქმის ავტორის მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და არ უნდა ჩაითვალოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ შეგნებულად მონაჭორის გავრცელებად.

თვითონ განმცხადებელი კონკრეტულად არ უთითებს, თუ რატომ არის ასეთი გამოთქმა მისთვის სახელის გამტეხი, რატომ მიიჩნევს, რომ მის მიმართ შეგნებულად გაავრცელეს მონაჭორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით,

დავადგინე:

არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ბატონ ნოდარ ნათაძის განცხადების გამო.

დადგენილების ასლი გაეგზავნოს განმცხადებელს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი ი. ტყეშელაშვილი.

ამგვარად, პატივცემულო მკითხველებო, ამიერიდან შეგიძლიათ თავისუფლად უწოდოთ ერთმანეთს „კრემლის თამაშის მოთამაშენი“. კანონი არ დაგსჯით.

სამწუხაროდ, ამ საერთო ისტერიულ ფონზე აღარ გამოჩნდება ის, ვინც მართლა კრემლის ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მუშაობს ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში.

---

# მთავარია, ზნეობრივ... არ დამარცხ...

(დასასრული)

რპთმსახურება და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა“. ბრმა თაყვანისცემა თუ მონობაზე უარესი ყოფილა, რაღა ითქმის ანგარიშიან, უფრო სწორად, ანგარებიან თაყვანისცემაზე? არადა, არც ისეთი ბრმანი არიან ახალი დროების კერპთმსახურნი... გავიხსენოთ, რა შესაშური ოპერატიულობით გადააწყვეს სიმები თავიანთ ქნარებზე, როგორი დაუნდობელი სისასტიკით მიაყარეს ქვა და გუნდა ფეხგადაბრუნებულ თავიანთ ძველ პატრონებს.

ასე უქნიათ წინათ, ამას შვრებიან ახლა და ამასვე იზამენ სამერმისოდაც.

**— პრეზიდენტობის კანდიდატები ეკრანიდან საკმაოდ გულუხვნი ჩანდით კრიტიკაში და ერთობ ხელმოჭერილნი — ერთმანეთის ღირსებათა წარმოჩენაში. ეს, ალბათ, საარჩევნო კამპანიის სპეციფიკითაც აიხსნება. არჩევნები დამთავრდა, აირჩა საქართველოს პრეზიდენტი. გვაინტერესებს თქვენი აზრი მის ღირსებებზე. და საერთოდ, რა საპრეზიდენტო თვისებებით არის იგი გამორჩეული?**

— ყოველ ადამიანს აქვს უამრავი თვისება, რომლებიც ღირსება-ნაკლის ჩვენეულ წარმოდგენაში ნაწილდება; მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თანაც სუბიექტივიზმისაგან ა... ვართ დაზღვეული.

**— სუბიექტური რომ იქნება, ... რედ იმიტომ გვაინტერესებს ... აზრი. თუნდაც სამი უმთავრეს... პრეზიდენტო თვისება დაგვისახ...**

— მიზანსწრაფულობა, ინტე... ბის ფართო წრე... და მესამე, ... ნებ, უმთავრესიც, პრეზიდენტ... თვის: ვნება წინამძღოლობისა, ... ლობისა. სამივე ეს თვისება აუც... ბელია ძლიერი პრეზიდენტისა... აუცილებელი, ოღონდ — არა... მარისი.

**— რას უსურვებდით არჩევ... გამარჯვებულს?**

— ჩემი სურვილი გამარჯვებ... სადმი, სულ ერთია, ვინც უნდა ... ფილიყო იგი, უკვე გამოვთქვ... ჩვენების წინადღეს ტელევიზიით... ლადარჩეულ პრეზიდენტს უნდა ... მოუცხადებინა დიდი შერიგება ... ქართველოში — შერიგება ერთ... პიროვნებათა შორის, შერიგება ... ტიათა შორის, შერიგება კერძ... ცთა შორის; და ისიც დავძინე, ... დემოკრატიული გზით საქართვე... ისე წაიყვანს სახელმწიფოებრი... რეალურად აღდგენისაკენ, რომ ... ერთ გოჯ ქართულ მიწას არ ... გავს, მან თავის ლაშქარს ერთ... გით მეომრად მეც მიმათვალოს... ქი.

ამ აზრზე ვდგავარ ახლაც.

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

---

# ბროშურის „სისხლიანი პარასკევის“ მკითხველებს

მოსწრე და მოწმე [გახლდით] 1956 წლის 9 მარტის მასობრივი ხვრეტისა თბილისში. 1970 წელს, ან მის ახლო ხანებში (ზუსტად აღარ მახსოვს) გადავწყვიტე, ნახული აღმეწერა. ეს განზრახვა შევასრულე რამდენიმე წლის შემდეგ. ჩემს ტექსტს იმ დროს ვიხილავდი და ახლაც ვიხილავ როგორც ჩვენებას აღწერილი ამბების შესახებ, რომელიც მზად ვარ ნებისმიერი სამსჯავროს წინაშე [დავიცვა]. ამ მოგონების ნაწილი დავბეჭდე გაზეთ „სახალხო განათლებაში“ 1989 წლის ზაფხულში. ამჟამად სრული ტექსტი გამოდის ბროშურად (იგი უკვე დაბეჭდილია). ამ ტექსტის დასაწყისში ნათქვამი მაქვს, სხვათა შორის, შემდეგი: „წინამდებარე ტექსტში მკაცრად გარჩეული მაქვს, რაც მინახავს, იმისგან, რაც სხვებისგან გამიგონია ან რაც „დავასკვენი“. იმავე წიგნის პოსტ სკრიპტუმში (გვ. 86) მიწერია: „კარგად ვიცი, რომ ცოდვის ჩადენი ერთ ცოდვას სჩადის, ფუჭუილად დამბრალებელი [კი] ასს. რასაც ვწერ, როგორც განაგონს, მართლაც მხოლოდ განაგონია და მეტი არაფერი. რასაც ვწერ, როგორც ფაქტს, იმაზე და მხოლოდ იმაზე პასუხისმგებელი ვარ, როგორც ფაქტზე. მე არა მაქვს უფლება, [ვინმეს] მივაწერო ის, რაც ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ არც იმის უფლება მაქვს, მკითხველს დავუმალო ის, რაც ვიცი იმ დროს საზოგადოებაში გავრცელებული აზრის შესახებ. ამიტომ მკითხველს ინფორმაციას ვაძლევ იმაზე, რასაც იმ დროს ამბობდნენ. ჩემი თხოვნაა მკითხველის მიმართ: ჩემი დაწერილი ამა თუ იმ პიროვნებასთან დაკავშირებით 1956 წელს გავრცელებული აზრის შესახებ მიიღეთ ისე, როგორც მიიღებთ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც საკუთარი კრიტიკული გონებით შემოწმება სჭირდება. რისი შემოწმების საშუალებაც გექნებათ, შეამოწმეთ! რასაც ვერ შეამოწმებთ, იმას ნურც იურიდიული, ნურც მორალური ბრალდების საფუძვლად ნუ გახდით!“

ალბათ გასაგებია ჩემი სურვილი, იმ ტექსტში არავითარი ცვლილება [არ] შევიტანო [აღწერილი] ამბების შესახებ ახალ-ახალი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ახალ-ახალი ცნობები, მათ შორის ის ცნობებიც, რომლებიც ჩემსას ეწინააღმდეგება ან საქმის ვითარებას სხვა კუთხით გვიჩვენებს — ცალკე დაიბეჭდოს. ეს უკეთესი იქნება ვითარების სრული სურათის აღდგენისათვის.

ბროშურაში 80–82-ე გვერდზე მიწერია: „როგორც გამოსვლის შემდეგ მითხრეს, შედგა ყალბი აქტი, თითქოს ჯერ ხალხიდან ყოფილიყოს სროლა, ჯარს კი ცეცხლი მერე გაეხსნას. ქართველებში ამ აქტზე ხელმოსაწერად ორი კაცი ნახეს: თემო ბადურაშვილი (ალკკ ცკ მესამე მდივანი, რომელიც ტრიბუნაზე იმყოფებოდა მჟავანაძესთან ერთად) და ალკკ რაიკომის ინსტრუქტორი ოთარ თენეიშვილი (მეტი ალბათ არც სჭირდებოდათ)“.

იმავე ბროშურის 84-ე გვერდზე მიწერია: „ თემო ბადურაშვილზე ორი ჩემთვის გასაკვირველი რამე გავიგე. ა. სულხანიშვილის მოგონებიდან შევიტყვე, რომ იგი პატრიოტობით გამორჩეული და სახელოვანი ოჯახის ნაშიერი ყოფილა... მითხრეს ... რომ თ. ბადურაშვილის კომკ... ული კარიერა უნივერსიტეტის ... ინდელი რექტორის ნ. კეცხო... უშუალო მითითებით დაწყე... რისთვისაც მან სათანადო მ... ზემოდან მიიღო (ეს უკანასკნელ... წყვეტი გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა 1991 წელს). ამჟამად ... მაქვს ორივე ეპიზოდის სხვა ... რომელიც მოწოდებულია ... ბ-ნ თ. ბადურაშვილის მიერ ... რომელიც სხვა არსებითი ... გვიხატავს ვითარებას, რისი... მჭირა ამ ახსნათა ტექსტს ... ქვეყნებთ. ამასთან ვიმედოვ... რომ მკითხველები, რომელთაც ... ეძლებათ 9 მარტის ამბ... შესახებ დამატებითი ინფორმაცია ... გვცენ, წარმოგვიდგენენ მას მ... რთით: თბილისი, ყაზბეგის ქ. ... საქართველოს სახალხო ფრონტ... ნათაძეს.

ნ. ნა...

---

# გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

გაზეთ „საქართველოს“ ა. წ. 1 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ნოდარ ნათაძის ბროშურის „სისხლიანი პარასკევის“ დამამთავრებელი ნაწილი, სადაც ჩემი სახელი და გვარი გაუგებრად არის მოხსენიებული.

ამასთან დაკავშირებით, მე მქონდა შეხვედრა ბატონ ნოდართან და მასთან საუბრიდან გამომდინარე მინდა გაუწყოთ შემდეგი: დავიწყებ ცოტა თავიდან და მივყვები იმას, რაც ვიცი, რისი მოწმეც ვარ და არა ყურმოკრულს და ვიღაცის ნათქვამს.

იმ დროს მე კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ვმუშაობდი, სულ რამდენიმე თვის არჩეული ვიყავი. 1956 წლის მარტის დასაწყისში თბილისში ხმა დაირხა, რომ პარტიის საკავშირო ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვმა ი. სტალინის პიროვნება მოთხარა. ახლოვდებოდა ი. სტალინის გარდაცვალების თარიღიც. ვაკეში, სტუდენტთა ქალაქის ტერიტორიაზე შეიკრიბა ახალგაზრდობა და გვირგვინებით ხელში დაიძრა სანაპიროსაკენ, სადაც ი. სტალინის ძეგლი იდგა. მე, როგორც კომკავშირის ქალაქკომის მდივანმა, თავი ვალდებულად ჩავთვალე ვყოფილიყავი იქ, სადაც ახალგაზრდობა იყო. სანაპირო[ზე] ი. სტალინის ძეგლთან, პირვ[ელ] [დღე]ში ისმოდა ი. სტალინის [მადიდებ]ელი სიტყვები, ლექსები, სიმღერები და ა. შ. მაგრამ შემდგომ გაისმა ხმები: ნ. ხრუშჩოვი გადავაყენოთ, მთავრობა შევცვალოთო და სხვა. იმ დროს, რესპუბლიკის ხელმძღვანელები მოსკოვში იყვნენ პარტიის ყრილობაზე და როდესაც მიატოვეს ყრილობა (გასაგები მიზეზების გამო) და თბილისში ჩამოვიდნენ, მოინდომეს ამ თავყრილობებისათვის მიეცათ მხოლოდ ი. სტალინის ხსოვნისადმი საპატივცემულო მიმართულება, მაგრამ უკვე ძალზე დაგვიანებული იყო. 9 მარტს, დღის მეორე ნახევარში დამიბარა საქართველოს კომკავშირის ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა თ. ჯანელიძემ და მითხრა: ხომ ხედავ ახალგაზრდობის მოძრაობამ რა არასასურველი ხასიათი მიიღო, თუ შეგიძლია, იქნება ახვიდე ტრიბუნაზე და ხალხი როგორმე დააწყნარო, თორემ შესაძლოა რაიმე უბედურება მოხდესო. მე, კომკავშირულ მუშაკთა ერთ ჯგუფთან ერთად მივედი ი. სტალინის ძეგლთან, იქ მიცნეს და ტრიბუნაზე ამიყვანეს. ქვემოდან ვიღაცამ ამომძახა, აქამდე სად იყავიო. მე ვუპასუხე, რომ თქვენთან ვიყავი, ახლაც აქა - ვარ და მინდა მომისმინოთ მეთქი. როდესაც სიტყვის თქვა დავაპირე (თუ ი. სტალინის საპატივცემულოდ შევიკრიბეთ, ყველაფერს თავისი ზომა აქვს, მოსკოვის მთავრობის გადაყენებას ჩვენ არავინ გვეკითხება და სხვა მსგავსი), ამ დროს ტრიბუნის ქვემოდან ჩოხქოლი შემომესმა. მიკროფონი სხვას გადავეცი, ძირს დავიხედე და ვიკითხე: რა მოხდა მეთქი. ქვემოდან საშმა ახალგაზრდამ, ისე, რომ ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ, მიპასუხა: ჩვენ რომ კავშირგაბმულობის სახლში დეპეშების გასაგზავნად ბიჭები გავუშვით, ისინი დააპატიმრესო. იმის გამო, რომ ეს ამბავი დი თავყრილობისათვის ცნობილი არ გამხდარიყო და ხალხი კიდევ უფრო არ აღგზნებულიყო, ჩამოვხტი ტრიბუნიდან და ამ ახალგაზრდებს ვთხოვე: ჯერ ნურაფერს იტყვით, თქვენ სამნი კავშირგაბმულობის სახლში წამომყევით და ყველაფერი გავარკვიოთ მეთქი. მათ დამიჯერეს, ჩამსვეს მანქანაში და მივედით რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის შენობასთან. იქ საკმაო ხალხი შეკრებილიყო. გავარღვიე ხალხის მასა, შევედი შენობაში და დავინახე, რომ კარების უკან შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ, გამოვტრიალდი, შენობის კიბეებზე მდგომ ახალგაზრდებს ვთხოვე ხელი-ხელს ჩაგვეჭიდებინა, შემდეგ ბიჭებმა ხელში ამიყვანეს და ასე მივმართე იქ შეკრებილთ: ხომ მიცნობთ ვინცა ვარ, თუ ზოგი არ მიცნობს, მე მავანი და მავანი ვარ, ძალიან გთხოვთ დაწყნარდეთ, კარებს უკან იარაღმომარჯვებული სამხედროები დგანან, დამიჯერეთ, ყველაფერს გავარკვევ, თუ მართლა ვინმე დააპატიმრეს, სიმართლეს გეტყვით მეთქი. ამ დროს დავინახე, რომ შენობის კარებიდან გამოვიდა ტუჟიკოვი — საკავშირო კომპარტიის ცეკას პასუხისმგებელი ორგანიზატორი საქართველოში. რა უნდოდა იმ დროს იქ ტუჟიკოვს? რა საქმე ჰქონდა? შესაძლოა სამხედროებს ბრძანება მოუტანა, რომ ხალხისთვის ესროლათ. მან გაუხვია ჩემგან მარჯვნივ და სწრაფი ნაბიჯით გაემართა მთავრობის სახლის მიმართულებით. უკან აედევნა ორი ახალგაზრდა, ერთ მათგანს მსხვილი ჯოხი ეჭირა ხელში. მე ჩამოვხტი ხალხის ხელებიდან, დავეწიე მათ და ვუთხარი: ბიჭებო, ეს კაცი თანამდებობის პირია, თქვენი ჭირიმე, ამას რომ რამე დამართოთ, რაღაც შარს გადავეყრებით მეთქი. ამ დროს, ხალხის უკნიდან, კავშირგაბმულობის სახლის საპირისპირო მხარეს მდგარ სასტუმრო „თბილისის“ მხრიდან მოისმა პროვოკაციული სროლა და მას მოჰყვა ხშირი სროლა კავშირგაბმულობის შენობიდან. ხალხი მოექცა ჯვარედინ ცეცხლში, ერთმანეთში აირია, აქეთ-იქით მიაწყდა, არავინ უწყის, ვინ სად აფარებდა თავს — ზოგი ძირს წვებოდა, ზოგი სადარბაზოებსა და ეზოებში შერბოდა, მეც ამ ბიჭებთან ერთად ხალხის ტალღამ ზემოთ ქუჩისაკენ გამიტაცა. ამიტომ იყო, იმ ღამესვე თბილისში ხმა გავრცელდა, თ. ბადურაშვილიც მოკლესო. მეორე დღეს, ვ. მჟავანაძის მითითებით, ჩამოვიარე თბილისის უმაღლესი სასწავლებლები, რათა ახალგაზრდობას ცოცხალი ვჩვენებოდი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გადამეხვია თვალცრემლიანი ძია მოსე, უნივერსიტეტის დარაჯი: აკი მოკლესო, მადლობა ღმერთს, ცოცხალს გხედავო.

რაც შეეხება ჩემს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად არჩევას, ეს მართლაც ბატონ ნიკო კეცხოველის მითითებით მოხდა, რადგან (გთხოვთ ტრაბახში არ ჩამითვალოთ, იძულებული ვარ, ვთქვა) ვსწავლობდი კარგად, დანიშნული მქონდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია, ვმონაწილეობდი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში, თვითმოქმედებასა და სპორტში. ჩემი ლექტორები ... ბატონები: კოტე ბაქრაძე, სავლ... რეთელი, ლევან გოჩელი და ... დიდებული მეცნიერები, ხოლო ... კულტეტის დეკანი გახლდათ ... ნი რევაზ ნათაძე. ისინი ჩემს მ... საერთო სიყვარულს იჩენდნენ. ... აქის ბიჭებშიც თითქოს პოპულ... ობა არ მაკლდა. კარგად მოგე... ებათ, ბატონი ნიკო დიდი ერ... იყო. მან კარგად იცოდა მამის ... დან ჩემი პაპისა და მამის ... აქვე ვიტყვი, არც დედის მხრი... მაკლდა გვარიშვილობა. დედის ... ალექსანდრე ზასაშვილი ყვარელ... და საერთოდ კახეთში ... ცნობ... პედაგოგი იყო. იგი იარაღით ... ბოლშევიკებს 1921 წელს, 1924 წ... დააპატიმრეს, დახვრეტას დ... გადაარჩინა. ალბათ ამიტომაც მ... ედი თვალში. რექტორს.

საგულისხმოა ის, რომ როგ... კი ბატონი ნიკო კეცხოველი რ... ორობიდან გაათავისუფლეს, გადამაყენეს კომკავშირის კომი... ტის მდივნობიდან. და, აი, ამ ... ბატონ რევაზ ნათაძის რეკომენდაც... ით ასპირანტურაში ჩავირიცხე.

თუ როგორ წარიმართა ჩემი ... დგომი ცხოვრება, აქ ამით თავს შევაწყვეტ.

P. S. ბატონმა ნოდარმა მით... რა, რომ ზოგიერთის თქმით არსებ... რაღაც ოფიციალური აქტი, იმის ... ობაზე, რომ 1956 წლის 9 მარტს ... კავშირგაბმულობის სახლთან ჯერ ... ხის მხრიდან იყო სროლა და ... ხელმოწერებიც არსებობს. ამის ... სახებ მე არაფერი ვიცი.

პატივისცემით
თეიმურაზ ბადურაშვილ[ი]
1991 წლის 10 მაისი


ფასი 40 კაპ. | რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible] ქ. № 25. ტელ.: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოში“
[illegible] 66447 | შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი